ეროვნული ბიბლიოთეკა


# მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 11—12 1883—1909 წ. 30 ივნისი


## შ ი ნ ა ა რ ს ი.


**სალიტერატურო განყოფილება:** იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო, დამსწრესი.—დიდი მწყემსი (მოთხრობა წმიდა იოანნე ოქროპირის დროიდამ) თარგმანი მღვ. იოანნე ლუკიანოვისა.—ჩემი საიდუმლო, თარგმანი მღვ. ი. ლუკიანოვისა,—ეპისკოპოსი კირიონი.—მწარე ფიქრები. სოფლის ხუცისა.—მთავრობის განცხადება.—სპარსეთის ამბები.—ოსმალეთი.—უცხოეთი.—კრიტოსის კუნძულის საქმე.— ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადებანი.—


## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო. *)

უკანასკნლად კრება შეუდგა სანთლის წარმოების საქმის განხილვას. დეკ. დ. ღამბაშიძემ განაცხადა: სანთლის წარმოების საქმე ყველა კითხვებზე წინეთ უნდა განხილულიყო, რადგან დანამდვილებით გვეცოდინებოდა, თუ რაოდენი შეძლება აქვს სანთლის საწყობს და შეიძლება სანთლის შემოსავალმა დაფაროს მოთხოვნილი ხარჯები თუ არა, მე ამა წლის იანვარშივე გავიგე, რომ სამ ათას მანეთამდე უნდა შემოსულიყო გაფლანგული და გავასხებული ფული სანთლის საწყობში, მაგრამ ჩვენ ერთ კაპეიკსაც ვერ ვხედავთ. მართალია ჩვენი ყ-დ სამღვდელო ისე არ ექცევა სანთლის შემოსავალს, როგორც წინეთ ექცეოდნენ, დღეს არავის შეუძლია სანთლის ფულების სესხება და საჩუქრათ მიღება, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ და ხელი შეუწყოთ მათ მეუფებას გავასხებული ფულების ამოგებაში. თებერვლის თვეში მე გავიგე, რომ ათასი მანეთი მიულია სანთლის ფულებიდან მამა შუბლაძეს, საწყობის მართველს, მაგრამ ერთი გროშიც არ არის ნაჩვენები შემოსავალში. მე ეს გარემოება მოვახსენე მათ მეუფებას, როცა მდივანიც იქ იყო და მათ მეუფებას განვუცხადე, რომ ქუთაისში არის ერთი შემდგარი ჯგუფი სამღვდელო და საერო პირებიდან, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ სანთლის წარმოების საქმით ისარგებლონ თავის ჯიბისათვის და საზოგადოების ინტერესები არაფრად მიაჩნიათ. მე გავიგე, რომ ათასი მანეთი ბოლქვაძის ვალი მიულია მამა შუბლაძეს და რატომ არ მოგახსენათ ეს და რატომ არ არის შემოსავალში ჩაწერილი? ეპისკოპოსის მდივანმა განაცხადა, რომ არც ათასი მანეთი და არც ერთი, არ არის აღებული. მღვდელს მ. მესხს უნდა, რომ იყიდოს სახლი ადგილით ბოლქვაძისაგან და უნდა გადიტანოს მისი ვალი და შემდეგ წვრილ-წვრილად გადაიხადოსო. მე მაშინვე მოვახსენე ყ-დ სამღვდელოს, რომ ადგილი და სახლი, რომ გაიყიდება, ფულებიც უნდა შემოვიდეს. სამღვდელოებას ფულები ეხლა ეთხოვება და ეხლავე უნდა შემოიტანონ ამოგებული ფულიც. ყ-დ სამღვდელოს დაებარებია მამა შუბლაძე ამ საქმის შესახებ და აი რა მოეხსენებია მათ მეუფებისათვის: არავითარი ფული არავისგან არ მიმიღია და არც მამული გამიყიდიაო. დეკ. ღამბაშიძეს ჩვეულებათ აქვს მიღებული, რომ თავისი უკანონო მოქმედება დაფაროსო. ამდენს

*) იხილე „წყემსი“ № 10 მაისის 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერს სანთლის შემოსავლის შესახებ და მას თვითონ ერთი გირვანქა არ წაუღია სანთელი 1907 წ. სხვა მღვდლებსაც არ მიაქვსთ სანთელი და ამისათვის ამა წელში 150—200 ფუთამდე ნაკლები არის გასყიდულიო. ყველა ეს მათმა მეუფებამ გადმომცა. მათ მეუფებას მე მოვსთხოვე, რომ დაენიშნა ფიცხელი გამოძიება და დამნაშავენი დაესაჯათ. დღეს აქ ბრძანდებიან როგორც მამა შუბლაძე ისე მისი ხელ მძღვანელი მამა ამბროსი ფოფხაძე და გთხოვთ, მამაო თავსმჯდომარე, მოსთხოვოთ მათ სია თუ სახელდობ, რომელ ეკლესიას რამდენი აქვს წაღებული სანთელი 1908 წელში. ეს უნდა ყოფილიყო პირველად თქვენგან შედგენილ ანგარიშში და არა, ისრაც არის დაბეჭდილი. თქვენსგან შედგენილი ანგარიში, ანგარიში არ გეგონოსთ. თუ კრება ამ ანგარიშით დაკმაყოფილდა, ეს იქნება მისი დამამტკიცებელი, რომ ჩვენი კრების დეპუტატებს სანთლის საქმის წარმოების საქმე ჯეროვანად არ ესმის.

საწყობის მმართველი მღვდელი შუბლაძე. მე არა ვსწერ წიგნში და არც შემიძლია ისა ვსთქვა, თუ რომელ ეკლესიას რამდენი აქვს წაღებული 1908 წლის განმავლობაში.

დეკ. დ. ღამბაშიძე. სრულებით მჯერა, და არაა ჩემთვის გასაკვირველი ის, რომ თქვენ არასოდეს არ გიწერიათ ის, თუ რომელ ეკკლესიას სახელდობ რამდენი მიქონდა სანთელი და 1908 წ. რამდენი წაიღეს. მაგრამ უმეტესად მაკვირებს თქვენი ცრუ და დაბეზღება მთელი სამღვდელოებისა, რომ იგინი ვითომც სანთელს არ ყიდულობენ ქუთაისის სანთლის საწყობში, არამედ მიხაილოვში თფილისის სანთლის ქარხანისას. რა საბუთი გქონდა თქვენ ამის სათქმელად? ყვირილის ეკლესიას აქვს წაღებული წარსულ წელში 505 მანეთის სანთელი და ამ სანთლის წაღებაზე საწყობს აქვს მიცემული ფულის მიღებაზე კვიტანციები და რა კაცი ან რა მღვდელი უნდა იყოს ის, რომელიც ასე ცრუობს. თქვენ იღებთ 800 მ. და რას აკეთებთ, თუ არაფერს არა სწერთ?

სიბნელის მოყვარე კაცები, რასაკვირველია, წმინდა ანგარიშს არ დაანახვებენ საზოგადოებას, თორემ მაშვინ ხომ ყოველივე გამოცხადდება თქვენ რით შეიტყობთ რამდენი სანთელი იყიდება საწყოპში? ხომ ხშირად მამა ფოფხაძის მრევლში დაბრძანდებით მრევლის სამსახურისათვის, რადგან მას ჩამორთმეული აქვს ეს უფლება, და ის საწყობში მართავს თქვენს საქმეს? ასე რომ ერთსა და იმავე დროს მამა ამბროსი მმართველიც არის და კანტროლერიც და რა გასაკვირველია, რომ ორასი ფუთიც დაიკლოს სანთლის გასყიდვამ...

ამ სიტყვების შემდეგ წამოდგა წინ მამა ამბროსი ფოფხაძე, ერთი ორი ჩახაველა და მოახსენა თავსმჯდომარეს, თავის უმცროს ძმას შემდეგი:

მამაო და ძმაო თავსმჯდომარე! ყველამ იცის და დარწმუნებულია, რომ დეკ. ღამბაშიძე შეურაცხებას აყენებს სამღვდელოებას და ისე აჩვენებს ყველას თავს, რომ მაგის დროს სანთლის საწყობის ფულები არც არავის გაეტანოს, არც არავის შეეტანოს და არც არაცისთვის მიესესხებიოსთ. მომეცით ნება, რომ წარმოუდგინო კრებას ის, რომ მან 1040 მანეთი მიასესხა ეპისკოპოს ბესარიონს, რომელი ფულიც დღეს დაკარგულია სამუდამოთ. თუ დაუმტკიცო მე ეს კრებას, დაადგინოს კრებამ, რომ გარდახდეს ღამბაშიძეს და კრებაში მოსვლის ნება ნუღარ მიეცემა. მე რაც ვთქვი, ხვალ წარმოვადგენ ამის დამამტკიცებელ საბუთებს.

გაისმა ხმა დეპუტატებში. საქმეზე ილიპირაკეთი ვიცით რაღაცა საბუთები გაქვს. პირველი შემთხვევა არ არის ეს თქვენი სიტყვები.

თავსმჯდომარე. არ შეიძლება ეს განცხადება არ მიიღოთ, მიუბრუნდა თავის ძმას და უთხრა წარმოადგინეთ ხვალ, რაც საბუთები გაქვსთ. იქნება კი აქვსთ და რათ ეუბნებით უარს?

დეკ. ღამბაშიძე. ეს მეათედ გამოდის მამა ფოფხაძე კრებაზე ესეთი ცილის წამებით, მაგრამ საბუთები ვერაფერი ვერ წარმოადგინა ხოლმე, მიეცით ნება წარმოადგინოს, თუ რამე გააჩნია. მე კიდევ კრებას ყურადღებას მივაქცევ იმაზე, რომ შეიტყოს, სად არის 3800 მ. რომელიც უნდა შემოსულიყო ბოლქვაძიდან. ბლაღოჩინად მყოფელს ი. წერეთლიდან და ახალი ბლაღოჩინის აბრამიშვილიდან. რაიცა შეეხება ბოლქვაძიდან ამომებულ ფულს, მე ცნობას შევკრებ ნოტარიუსიდან და ბოქაულიდგან და ხვალ მოვახსენებ კრებას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიტყოთ, მართალი ბრძანდება მ. შუბლაძე და მისი კომპანია თუ არა...

მეორე დღეს დილით ცხრა საათზე გაიხსნა კრება და ათი საათის შემდეგ შეუდგნენ დეპუტატები სანთლის ანგარიშის ბანხილვას. მთელი წლის ანგარიში მოთავსებულია ამ პატარა ფურცელზე და მართალი რომ სთქვას კაცმა ანგარიში კი არა, რაღაცა შესავალ-გასავლის წიგნს გავდა გამოწერილობა არის შემოწმებული საეკლესიო საწყობის შემოწმებულათ ლავრენტი დევიძისა, სერაფ. ცაგარეიშვილისა და თვითონ საწყობის მმართველის ს. შუბლაძისაგან.

დეპუტატებმა მიიღეს ეს ანგარიში, რადგან ვერაფერ მის ნაკლუვანებას ვერ მიხვდენ. ამ უბადრუკი ანგარიშით სჩანს, რომ წარსული წლიდან დარჩენილა 112 ფუთი და 5/4 გირ. სანთელი. ამ წელში მიუღიათ 555 ფუთი 25 გირვანქა სულ 667ფ. 30 გ. სან. და 3 ფ. და 36 გირვანქა ბაწარი და ქაღალდი, სულ შეადგენს 670 ფ. 26 გ., მაგრამ ერთი სასწაულობა მომხდარა. გელათიდგან რომ წამოსულა სანთელი, რადგან კარგი წყალია იქ სანთელს დაულევია სამი ფუთი და ორი გირვანქა წყალი და ქუთაისში რომ ჩაეტანათ რადგან სიცხე ყოფილა ქუთაისში, შეუშვრია და სამი ფუთით ნაკლები გამოსულა... ამ ნაირად საწყობს დაკლებია ფული 146 მანეთი. ვის ჯიბეში ჩამძვრალა ეს ფულები ვერავინ გაიგო.

ამასთან ერთად უბედურება მომხდარა. ვაგონი გადაბრუნებულა გზაში და სანთელი ვითომ დამტრეულა და ამით საწყობს ზარალი მიცემია დანაკლებ ფასში გაყიდულა სანთელი და რამდენი დაუკლია ეს ღობიოს მკითხავი თუ გამოარჩევს თორემ რით გაიგებს კაცი.

ვექილს, კანცელარიის მდივანს მიეცა ბოლქვაძისაგან ფულების ამოგებისათვის ორას სამი მანეთი თანახმად პალატის გადაწყვეტილებისაო. თურმე პალატას გადაუწყვეტია ორასი მანეთი მიეცით მდივანსო!.. სიმართლე რომ იყოს სადმე ეს ფულები უნდა გარდაეხადა იმ სანთლის მმართველს, რომელმანაც კანტრაკტების წინააღმდეგ ჩაუგდო ხელში ბოლქვაძეს, მაგრამ სად არის სიმართლე? ბოლქვაძეს ხელწერილი ჩამოართვეს და ხელწერილში იყო ნათქვამი, რომ მე ამდენი და ამდენი ფულეპი მმართებს სანთლის საწყობისაო და რა საჭირო იყო ამაზე ვექილი—და ორასი მანეთის დახარჯვა. მაგრამ ფულებია საჭირო...

სამღვდელოებამ მიიღო ანგარიში და მადლობის გამოცხადებას უპირობდენ, მმართველს რომ ხელი არ შეეშალა ერთ გარემოებას.

დეკ. დ. დამბაშიძე. მამანო დეპუტატნო მე ვიყავი ოლქის სასამართლოში და აი რა შევიტყვე ათასი მანეთის მიღების შესახებ, რომელსაც თვალით ვერ ვხედავთ. მათ მეუფებას მიუნდვია წარსული წმიდის ოკტომბრის თვეში 2800 მანეთის გარდასახდელი ფურცელი ბოლქვაძისაგან და დაუვალებია აეწერა სახლები და ადგილი ბოლქვაძისა რომელიც უკვე ნაჩვენები იყო. მმართველს მამა შუბლაძეს მიუკია ბოქაულისათვის ეს ლისტი და აუწერინებია ნაჩვენები მამული. ბოქაულს ჯანელიძეს მოუხდენია განკარგულება და მიუწერია სადაც რიგია, რომ ზაპრეშჩენიე დაედვა ამ მამულზე. ორი კვერის შემდეგ ისევ გაუუქმებია თავის განცხადება და ზაპრეშჩენიე აუხსნია. შემდეგ ახალი განცხადება შეუტანია და ბოლქვაძის მთელი მამულისაგან, გამოუყვია ერთი სახლი და მიწა ამ სახლის ეზო, ასე 70 კ. საჟენამდის და მიუყიდვინებია მღ. მიხეილ მესხისათვის ათას მანეთად უვაჭროთ და თვითონ შუბლაძეს ხელი მოუწერია ლისტზედ რომ მიიღო ათასი მანეთი ბოლქვაძის ვალიდგან. მამა მესხს ნასყიდობა შეუსრულებია და ჩაბარებითაც ჩაუბარებია ნაყიდი მამული. დარჩენილ მამულზე, მითხრა ბოქაულმა, არავითარი განცხადება არ შემოაქვსო და მე არა მაქვს უფლება ძალით შემოვატანინო განცხადება ვაჭრობის დასანიშნავადო. ყველა ეს გარემოება მე მოვახსენე დღეს მათ მეუფებას, რომელმანაც დაიბარა შუბლაძე და გაუწყრა. როცა ფულები მოთხოვა და

ათხრა ათასი მანეთი, რომლის მიღებაზე ხელი აქვს მოწერილიო, სად გაქვსო მიუგო მღვდელს მესხს უნდა მოეცა, მაგრამ აღარ მომცაო. ამ დროს გამოცხადდა მღვდელი მ. მესხი და მოახსენა მათ მეუფებას, რომ ის ქუთაისშია და ის სახლიც და ადგილიც, რომელიც მან ასე მოხერხებით იყიდა და ქუთაისშივეა. ყ-დ სამღვდელოს კითხვაზე ფული რატომ არ მიეცი შუბლაძესო, განაცხადა: ფულებს მაშინ მივცემ შუბლაძეს, როცა დეკ. ღამბაშიძე გარდაიხდის 1500 მანეთს, რომელიც მან ასესხა სანთლის ქარხნიდან განსვენებულ ეპისკოპოსს ბესარიონსო. მათმა მეუფებამ მესხი ამხილა შეუფერებელი და უსაფუძლო პასუხისათვის და გარეთ გაუშვა... შუბლაძეს გამოუცხადა, რომ დაუყონებლივ შემოიტანოს ათასი მანეთი და რადგან მისი ბრძანება არ აასრულა და თავის ნებით გაყო ადგილი და ერთი წილი გაყიდა და მეორე ნაწილი დასტოვა, თუ ამ მეორე წილიდან არ შემოვიდა 1800 მანეთი მას გარდაახდევინებს დანაკლის ფულს და პასუხის გებაშიც მისცემს. ყველამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი მეუფება რომელიც ყოველთვის ყველასაგან კანონის ასრულებას მოითხოვს, უთუოდ გარდაახდევინებს შუბლაძეს ამ 2800 მანეთს და სანთლის საწყობიდანაც დაითხოვს როგორც უკანონობის ჩამდენს კაცს. ყველა ეს მათქმევინა მე იმ გარემოებამ, რომ სამღვდელოებას ფულები ეთხოვება და ერიცხება მის მცირე ჯამაგირიდან და სანთლის ფულებით ვიღაცაები კი სარგებლობენ სანთლის ფულებით.

კრებამ მიიღო სახეში ყველა ნაკლულევანება სანთლის საწყობის მმართვა-გამგეობისა ამოარჩია ზედამხედველი კომიტეტის წევრებად ბლაღოჩინი ი. ფანცხავა ეპარხიის დასავლეთით მცხოვრები, მ. კირილე კელენჯერიძე აღმოსავლეთის მხრიდგან და სამხრეთის ეპარქიის მცხოვრები მამა ამბერკი მომფორია. ამ აღრჩევით დაამტკიცა კრებამ, რომ მისთვის ერთი და იგივეა ვინც უნდა იყოს ზედამხედველი კომიტეტის წევრებად მე როცა ამას ვსწერ ამ კაცების ღირსებას კი არ ვაქცევ ყურადღებას არამედ იმას, რომ ყ-დ შეუძლებელია ასე დაშორებით მცხოვრებთა რაიმე ზედამხედველობა გაუწიონ სანთლის წარმოების საქმეს...

დეკ. დ. ღამბაშიძე. წინააღმდეგ დასახელებულთ ზედამხედველი კომიტეტის წევრებისა მე არაფერი მაქვს და მათ გამოუცდელობაზედაც არას ვიტყვი მაგრამ გაბედულად შემიძლიან ვსთქვა, რომ იგინი რაც უნდა გამოცდილნი იყვნენ როგორ შეიკრიბებიან ერთად. ერთი აღმოსავლეთში სცხოვრობს მეორე დასავლეთში და მესამეც სამხრეთისკენ და რა ზედამხედველობა უნდა გაუწიონ საწყობს? ალბათ ისინი ორ თვეში ერთხელ მოვლენ და წიგნს შეამოწმებენ, ფურცლები ხომ არა აქვს ამოგლეჯილი ან ხომ არსად სწერია წიგნში ბოროტად მოხმარებული ფულები, ზედ მეტი ჩაუწერელი სანთელი და ფულები ხომ არსად არის შენახული საწყობში? მოულოდნელად მისვლა საწყობში, გასინჯვა საანგარიშო წიგნებისა და დათვალიერება სანთლის ქარხნისა და უწესოდ მუშაობის გასწორება ამას ეს წევრები ვერ შეასრულებენ და ვერც შესძლებენ. ნუ თუ ქუთაისში არ მოინახება ერთი მღვდელი რომ ამხანაგად დაგენიშნათ ამ წევრებთან? თუ მღვდელი არ არის, თქვენის აზრით განა არ შეიძლება ერის კაცი იყოს?... მაგრამ კრებამ აღარავინ აარჩია სხვები.

ზედამხედველი კომიტეტის წევრების აღრჩევის შემდეგ წინ წამოდგა მამა ფოფხაძე, ერთი ორი ჩაახველა, გაიწმინდა ხმა და ბრძანა მე რომ დაგპირდით, მამანო დეპუტატნო რომ წარმოგიდგენთ დამამტკიცებელ საბუთებს იმის დასამტკიცებლად რომ დეკ. დ. ღამბაშიძემ დაუკარგა სანთლის ქარხანას 1040 მან. რომელიც მან მიასესხა ეპისკოპოსს ბესარიონს მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში.

დამსწრე.

# დიდი მწყემსი.

(მოთხრობა წმიდა იოანნე ოქროპირის დროიდამ)

თარგმანი

გაგრძელება*)

ხალხი კედელივით იდგა და უშლიდა ჯარს გასვლას.

— გზა! — შესძახა ცხენოსანის ჯარის უფროსმა.. მოეცალეთ!

ხალხი უძრავად იდგა. წინ წამოიწია ერთმა განდეგილმა. მეტად გამხდარი იყო. მისი სხეული წარმოადგენდა ჩონჩხს. კანის ქვემოდან ცხადათ მოსჩანდნენ ძვლები.

ის წელში გასწორდა, რამდენადაც შეეძლო, მტკიცე ნაბიჯით მივიდა წარჩინებულ სამსახურის კაცებთან, მარცხენა ხელით დაიჭირა კესარის ცხენის ალვირი, მარჯვენათი უჩვენა კესარის და ელლებიხს დედა-მიწაზედ.

კესარიმ იფიქრა, ახალი ამბოხება ხომ არ იწყება და ცხენიდგან ჩამოსვლის მოთხოვნა მოხუცებულისაგან მიიღო ბრიყვულ თავხედობად და ამოიძრო ხმალი, რომ დაეკრა თავხედისთვსი. ამასობაში მოხუცი რაღასაც ლაპარაკობდა, მაგრამ კესარის არა ესმოდა-რა, რადგანც მოხუცი ელაპარაკებოდა მას ბერძენს ადგილობრივ სირიულს ენაზე.

ხალხმა-რა დაინახა მოხუცის დასაკვრელად ამოღებული ხრმალი, ერთ ხმად შეჰბღავლა, როგორც დაჭრილმა ველურმა ნადირმა:

— ხელი არ ახლო! ჩააგე ხრმალი! ეგ — ქერის მარცვლის მჭამელია! მაკედონია — ქერის მჭამელი!

კესარიმ ეს ყვირილიც ვერ გაიგო, მაგრამ მისი ხელი დაიჭირა ცხენოსანი ჯარის უფროსმა. — ამან გაარჩია ხალხის ყვირილი და მიხვდა, რომ იმათ წინაშე სდგას მთელი საქრისტიანო აღმოსავლეთის მიერ პატივცემული მოღვაწე.

— ბატონო, — ჩასჩურჩულა ყურში კესარის ცხენოსანი ჯარის უფროსმა. — ეს არის მაკედონი, შესანიშნავი ბერი. რამდენიმე წელიწადია ის აღარ ანთებს ცეცხლს საჭმლის მოსახარშად. იკვებება მხომშრალის ქერით· ამბობს, რომ ჩვენ მუცელი ღმერთად გადავაქციეთ, სამზარეულოში გავუკეთეთ მას საკურთხევლები და მხოლოდ იმას-ღა ვფიქრობთ რომ მას ნაირ-ნაირი მსხვერპლი შევსწიროთ. ამ ბერს-კი უნდა, მუცელს კი არ ემსახუროს, არამედ...

— ვიცი. გამიგონია, — უთხრა კესარიმ. მაშინვე ჩამოხტა ცხენიდგან და პატივისცემით მოიხარა თავი მაკედონის წინაშე.

ძვირფასად ჩაცმული, ოქრომკედით მოქსოვილ ტანისამოსში ელლიბიხიც მოსდრკა ძონძებში გახვეულ მოხუცის წინაშე.

— რა გნებავს, მამაო? — ჰკითხა კესარიმ.

მაკედონიმ დაუწყო ლაპარაკი სირიულად, რადგანაც ბერძნული ენა არ იცოდა.

მიუახლოვდა ნამესტნიკი და ყური დაუგდო მაკედონის სიტყვებს. იგი ლაპარაკობდა:

— ჩვენ მოვსულვართ იქიდგან, მთებიდან, ღრუბლების იქიდგან. გამოგზავნილი ვართ ღვთისაგან: რათა ზეცის სახელით შევაჩეროთ ყოველივე ქვეყნიური შურის-ძიება. დაბრუნდით უკან იმპერატორთან და მოახსენეთ იმას, რომ ანტიოქიაში ხალხის მიერ შემუსვრილი სპილენძის ქანდაკების აღდგენა შესაძლებელია. მაგრამ თუ თეოდოსიმ შემუსრა თუნდაც მარტო ერთი ცხოველი, ხელთუქმნელი ქანდაკება, — ადამიანი, — მაშინ იმას აღარ შეუძლიან აღდგინება მისი, ვისაც სიკვდილით დასჯის. მაშ შეაყენოს იმან სასტიკი და უმოწყალო აღმოფხვრა არა მეფის უსულო ქანდაკებისა, არამედ ღვთის ცხოველ მსგავსებათა.

მაკედონის ასეთმა სიტყვებმა განაცვიფრა თვით წარმართი- მმართველი.

— რა სულის ძალაა! — ჩაფიქრდა ის და გადაუთარგმნა ბერძნულად კესარის.

ელლებიხი და კესარი დასთანხმდნენ, რომ ამ სიტყვების უგულებელ-ყოფა შეუძლებელია, და რომ საჭიროა მოხსენდეს იმპერატორს შუამდგომდგომლობა ანტიოქიისა, ახალ მოსარჩლეებისა,

„ადამიანს არ შეუძლიან თქვენი შეჩერება მაგრამ ღმერთს-კი შეუძლიან“ — ეს სიტყვები გზაზე

*) იხილე „წყემსი“ № 10 მაისის 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრილ ფლაბიანესი მოაგონდათ ორივეს და შვებით ამოისუნთქეს.

—მაშ როგორ მოვიქცეთ?—ჰკითხა ნამესტნიკმა.

—ჯერ-ჯერეობით გადავდოთ სასჯელები, შევეკითხოთ კეისარს

—ვინ შეეკითხება? ვინ გაბედავს იმპერატორთან წასვლას სათხოვნელად მისის უდიდებულესობის ბრძანების გამოცვლისას?—ჰკითხა ხელმეორედ ნამესტნიკმა.

- მე!—მტკიცედ უპასუხა კესარიმ. მაკედონიმ გააჩერა ჩემი ცხენი, მომმართა სატყვით, მაშასადადამე, მე უნდა წავიდე. ცხადად ღვთის ჩვენებაა.

—ეგრე იყვეს,—დასთანხმდა ელლებიხი,—მაგრამ თუ რამე იქმნა,—პასუხი ვაგოთ ორივემ. მე დავაყენე დასჯა ახალ განკარგულებამდე. ასე უთხარი კონსტანტინეპოლში, თუ საქმემ სხვა ხასიათი მიიღოს.

— წადი ჩქარა მოედანზე,—დაავალა მან ცხენოსან ჯარის უფროსს, და უთხარი: „დღეს სასჯელი აღარ იქნნბა". დამნაშავენი უკანვე სატუსაღოში წაიყვანონ. იმათ შესახებ იმპერატორთან ახალი შუამდგომლობაა აღძრული.

ხალხი გაიყო, მისცა გზა, და ცხენოსან ჯარის უფროსმა გააჭენა მოედნისკენ, ხოლო წარჩინებული მოხელენი და მათი თანამხლებლები უკან დაბრუნდნენ. ამათ გამოჰყვნენ განდეგილები ხალხთან ერთად. კესარიმ სთხოვა მათ თავისით დაეწერათ წერილი თეოდოსისთან.

ამ დროს ცის ერთ ადგილს ღრუბლები შეთხელდა, და ბრწყინვალე გაზაფხულის მზემ ჩამოაშუქა თავის სხივი დედა-მიწაზე, გაირბინა ათასეულ ხალხში, გაჩერდა და შეითამაშა დიდებულ მოხელეთ ოქროს ჩაჩქანზე.

—ცამ გაიღიმა, მზემ შეითამაშა, სიხარულით—ეუბნებოდა ერთმანეთს ხალხი, ხოლო განდეგილებმა დაიწყეს გალობა ახალი ფსალმუნისა:

—„აქებდ იერუსალიმ უფალსა, უგალობდ ღმერთსა შენსა სიონ: რამეთუ განაძლიერნა მოქლონნნი ბჭეთა შენთანი, და აკურთხნა შვილნი შენნი შენთანა. რომელმან დასხნა საზღვარნი შენნი მშვიდობით, და სიპოხითა იფქლისათა განგაშენ. რომელმან მოავლინის სიტყვა მისი ქვეყნად, და სწრაფით რბინ ბრძანება მისი„. ალლილუია.

და ათასმა ხმამ ეხლა მხიარულებით გაიმეორა.

— ალლილუია!

გამოგზავილ მოხელეების მიერ სასჯელის გადადებამ, თუმცა რამდენიმე ხნით, მაინც რამდენადმე დაამშვიდა ბევრი ახლო ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები დასასჯელად განმზადებულთა, მაგრამ, საზოგადოდ, ქალაქი რჩებოდა შეწუხებულ მდგომარეობაში. ყველას სწყინდა ანტიოქიის უფლებათა და უაღრესობათა ჩამორთმევა. ანტიოქელები, ცირკებში და აბანოებში დროს გატარებას მიჩვეულები, სწუხდნენ ქალაქში ცირკისა, აბანოებისა და ცხენების საჭენებელ მოედნების დახურვას

იოანნემ, გულ-ნატკენმა მოქალაქეთა სულმოკლეობით, რომელნიც ამ განსაცდელ დროშიაც კი ფიქრობდნენ მომყტებულად უბრალო გართობაზე, მინამ თავის სულიერ განახლებაზე, მიჰმართა მსმენელთ ახალი სიტყვით:

—თქვენ სწუხართ რომ თქვენ ქალაქს წაერთვა უპირატესობა? მაგრამ ჯერ გაიგეთ, რაში მდგომბრეობს ქალაქის უპირატესობა, და მაშინ ნათლად დაინახავთ, რომ თუ თითონ ქალაქის მცხოვრებლებმა არ დაღუპეს მისი უაღრესობანი, თორემ სხვას არავის შეუძლიან მათი წართმევა. გაიგეთ, რომ ქალაქისა სიდიდე კი არა, არამედ სულიერი ღირსება მისი მცხოვრებლებისა არის მისი დამშვენება და უშიშროება.

ჩემის აზრით ის ქალაქი, რომელშიაც არ არიან ღვთის მოყვარული მცხოვრებნი, ყოველივე სოფელზე უარესია, თუმცა ის მეფეებისგან იღებდეს ათასნაირ პატივს. ამისათვის, როცა გინდა აქო შენი ქალაქი, ნუ მეუბნები მის უფროსობაზე სხვა ქალაქთა შორის, არც მის მშვენიერ გარეუბან ქალაქზე,—დაფნაზე, არც დიდ-მშვენიერ ალვის ხეებზე, არც იმის წყაროებზე, არც იმაზე, რომ ბევრი ხალხი სცხოვრობს ქალაქში. ნურც იმას მეტყვი რომ ქალაქში არის დიდი და ლამაზი შენობები ან მრავალრიცხოვანი სვეტები, ფართო ნავთსადგურები და სასეირონო ადგილები, სადაც სრულიად უშიშრად შეიძლება დარჩენა ღამე გვიანობამდისაც-კი. ნუ მეტყვი იმის ვაჭრობაზედაც. ყველა ეს გარეგანია. თქვენთვის უსაჭიროესი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოა. ყველა ეს—ქვებია,ხეა, მჩვარია, რკინაა. ეს თითონ თქვენ არა ხართ. ეს თქვენი ტანთ-საცმელია, წასახვევია. თქვენ? თქვენ—სული ხართ. ის თქვენი ჩარჩოა, დასადგმელია ქანდაკებისათვის, ხოლო ამ ჩარჩოში სურათი, ქანდაკება დასადგმელზე—თქვენ თითონა ხართ, თქვენი შინაგანი არსებაა, თქვენი სულია, თქვენი აზრები და გრძნობებია.

დამატკბეთ ამ სურათით, ხოლო ჩარჩო ამ სურათს ექნება თუ არა, და თუ ექნება—როგორი—ეს ჩემთვის სულ ერთია. მე მინდა უაღრესობა, უპირატესობა და სიმშვენიერე თქვენის დიადის სულისა; სიმდიდრე თქვენის გულისა. იამაყეთ, თუ შეგიძლიანთ, თქვენ მოედნებზე მდგომ ქანდაკებით, თუნდაც წმიდა ოქროსი ჩამოსხმულიყოს, არამედ ღვთის ცხოველი მგსავსებით. აი ეს იქნება ღირსება, აი ესაა უპირატესობა ქალაქისა; მაგრამ ამას ვერავინ ვერ მოგცემთ თქვენ, და აგრეთვე ვერავინ წაგართმევთ· იგი თითონ თქვენ უნდა შეიძინოთ, და მისი შენახვაც და დაკარგვაც თქვენზედვეა დამოკიდებული.

ასე ასწავლიდა იოანნე ანტიოქელებს მეორე დღეს და შემდეგ დღეებში, როდესაც კესარი წავიდა უკანვე კონსტანტინეპოლში ახალის შუამდგომლობით აჯანყებულ და სასჯელგადაწყვეტილ ანტიოქიისათვის, იმ შუამდგომლობით, რომელიც ხელ-მოწერილი იყო ეხლა განდეგილების მიერ.

ანტიოქელები გამხნევდნენ. ისინი ამბობდნენ:

—ეხლა შეიძლება დამშვიდდეთ.

—ეხლა იმპერატორი გაუგონებს. სხვა არავინ თვით წმიდა განდეგილები სწერენ.

—ენადაცულებმა ხმა ამოიღეს.

—ეგეც ხომ, და კესარიც ჩვენსკენ არის.

—დიდება ღმერთსა, უბედურებამ გაიარა. ეხლა აღდგომას ვიდღესასწაულებთ განსაკრთრებით მხიარულად.

დიდ-მარხვის ნახევარზე მეტი გავიდა, და ქარაფშუტა ანტიოქიამ, დაივიწყა ამ ცოტა ხანში მომხდარი ალიაქოთი, და დაიწყო მზადება, როგორ მოეწყო დღესასწაულები პასექისა.

იოანნე, როგორც მზრუნველი მკურნალი, თვალ-ყურს ადევნებდა თავის დაუდევარ სამწყსოს მდგომარეობას, და ახალ ქადაგებაში მან აღნიშნა ახალი მდგომარეობა თავის სამწყსოსი.

—ბევრს, როგორც შევნიშნე მე, —ასწავლიდა იოანნე,—- ერმანეთს ეუბნებიან: „ჩვენ ვაჯობეთ ჩვენ დავსძლიეთ, ნახევარი მარხვა გავიდა„. ასეთებს ვთხოვ, ნუ ხარობენ ნახევარი მარხვის გასვლას, არამედ გაშინჯონ, თავიანთი სული შეიტყონ ნახევრობით მოეკლოთ თუ არა მათ სისაძაგლე, და მხოლოდ მაშინ გაიხარონ· ამისთვის თვითეული თქვენგანი უნდა დაფიქრდეს, რომელი თავის ნაკლულევანება გაისწორა, რომელი კეთილი თვისება შეიძინა, რომელ ცუდ საქმეს დაანება თავი და რით გაუმჯობესდა, ისე-კი, მარტო ერთი მარხვა, თუ ჩვენ არ გავუმჯობესდით ვერ გვიშველის. რომელიც არა მარხულობს ავათმყოფობისა გამო იმას კიდევ შეუძლიან მიიღოს შენდობა და პატივებ, მაგრამ სულიერად გაუსწორებელმა, როგორი გამართლება უნდა მიიღოს?

შენ არ იმარხულე შენი სხეულის ავადმყოფობის გამო,—კარგი. მაგრამ მითხარი მე რის გამო არ შეურიგდი შენ მტრებს? რატომ არ აპატიე მათ? აქაც ხომ არ გინდა ამის მიზეზათ ავათმყოფობა დაასახელო?

თუ შენ ვისზედმე გულში ძვირი გიდევს,—რითი გაიმართლებ თავს, მითხარი მე? ამასაც ავათმყოფობით?—მართალია ამის მიზეზი ავათმყოყოფობაა, მაგრამ ავათმყოფობა სულისა. და აი ერთს სტკივა სული, მეორეს, მესამეს, მეათეს, მეასეს. და არ არის ბოლო ამ ავათმყოფობისა.

დრო გასწორებისა—არის მარხვა. მარხვა უკვე თავდება, ჩვენ-კი წამლობა ჯერ არც-კი დაგვიწყია. არც-კი ვფიქრობთ მასზე. მხოლოდ გვიხარიან: რომ დრო გადის, მარხვა ილევა, აღდგომა მოდის.

რა არის აქ სასიხარულო? აღდგომა ხომ მოვა, მაგრამ ჩვენ აღდგომის ბრწყინვალე დღეებშიაც ვრჩებით აღუდგომელ-მკვდრებათ ჩვენს გულში.

იოანნე თითქმის ყოველ დღე ელაპარაკებოდა ხალხს სინანულზე; სცდილობდა გაეღვიძებინა და გაემტკიცებინა მათ გულში საუკეთესო, კეთილი გრძნობები.

ამასობაში ფლაბიანე ამაოდ სცდილობდა კონსტანტინოპოლში ენახა იმპელატორი. თეოდოსის, განრისხებულს მეამბოხე ანტიოქიაზე, არც-კი უნდოდა ენახა მისი მოხუცებული მწყემს-მთავარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—უკანვე წავიდეს,—ყვიროდა ის გაჯავრებული, ფლაბიანეზე. რა იმისი საქმეა ჩემ საქმეებში ჩამორევა! მე ვასწავლი იმათ ჩემი ქანდაკებების პატივისცემას. ვაკანკალებ მათ ჩემი სახელის გაგონებაზედაც-კი.

ფლაბიანეს ეუბნებოდნენ, რომ თეოდოსი გაჯავრებულ'ია, და ურჩევდნენ უკან დაბრუნებას.

—წაბძანდი უკან, მეუფეო, ეუბნებოდენ მას მეფის კარის კაცები. ჩვენ შენთვის გვეშინია. იმპერატორი განრისხებულია. იგი საშიშია ამ დროს ყველანი მისი კარის კაცები მის წინაშე სძრწიან.

—უტყუილათ,—მშვიდად გაიქნია თავი ფლაბიანემ. —ძრწოლა უნდა მხოლოდ წინაშე უფლისა ღვთისა; იმპერატორის რისხვა-კი უნდა მოვალბოთ.

მეფის კარის კაცთ ამ სიტყვების გამგონთ ეღიმებოდათ:

—მოვალბოთ?.. შენ, მეუფეო, ადვილად გაქვს საქმე წარმოდგენილი. ვინ გაბედავს, ვის შეუძლიან რაშიმე გზაზე გადაეღობოს კეისარს?

—ყველას თქვენ,—მტკიცედ სთქვა ფლაბიანემ. თუ თქვენ მხოლოდ ლაქუცეები არა ხართ კეისრისა, უბრალო მაამებელნი არა ხართ იმისი, არამედ ერთგულნი მსახურნი ხართ. როდესაც კეისარს გზაზედ შემთხვევით ფეხი გაუსხლტება სეირნობის დროს,—ყველანი თქვენ მისცვივდებით და დაიჭერთ რომ არ წაიქცეს. მაშ რაღათ ანებებთ მას თავს, რომ ჩავარდეს იგი რისხვის გრძნობაში? არ იჭერთ მას? არ ასუსტებთ ძალას ჩავარდნისას.

მეფის კარის კაცები მხარს იწევდნენ, უყურებდნენ ფლაბიანეს გაკვირვებულის თვალით და ამბობდნენ თავის თავად:

—აი უცნაური კაცი! თითქოს პატარა ბავშვია.

—მოხუცებულობით მოსდის.

—პროვინციელებს ყველას ეგრე აქვს წარმოდგენილი საქმე. აბა წადი, ხმა ამოიღე, გაბედე...

ფლაბიანე რჩებოდა. ის ამბობდა:

—არ წავალ. არ მინდა დავკარგო იმედი. კეკეისრის გული უნდა იყვეს მზედ ქვეშევრდომთათვის; ეს მზე არ შეიძლება, რომ მუდამ დაფარული იყვეს რისხვის ღრუბლებით.

—ბევრ ხანს მოგინდება, მეუფეო, ცდა,—და... ეუბნებოდნენ მას.

—მომინდეს, მე მირჩევნიან მოვკვდე აქ, შორს ჩემი სულიერი სამწყსოსაგან, მინამ დავბრუდე და გავაცრუო ანტიოქიას იმედი ჩემს შუამდგომლობაზე.

მღვ. ი. ლუკიანოვი.

გაგრძელება იქნება.

---

## ჩემი საიდუმლო.

(რუსულიდგან)

ნურავის ეტყვი იმას, რაც მე მინდა მოგითხრო შენ; მომეცი მე სიტყვა, აღთქმა. ეს ჩემი საიდუმლოა, ღრმა საიდუმლოა ჩემი გულისა, და მე მინდა შენ გადმოგცე იგი. მას ეშინიან ხალხისა, როგორც იმ ყვავილს, რომელიც ემალება ბალახებში დაუნდობელ ხელს ადამიანისას,—როგორც პეპელას, რომელიც იმალება ქარიშხალისაგან ვარდის ნაზ ფოთლებში...

ნუ ეტყვი; ნურავის ეტყვი იმას! ხალხი ვერ გაიგებს; იგი დასცინებს და შეურაცყოფს შენი გულის საიდუმლოს, ამოგლეჯს მას შენის გულიდან თავისი თავხედი ხელებით და გადაუგდებს ბრბოს გასაუპატიურებლად იმის მზგავსად, როგორც გადააგდეს საიდუმლო ქრისტესი და მისცეს იგი მტარვალებს ხელში.

იცი შენ, რომ მაცხოვარი ასწავლიდა-რა მოციქულებს საიდუმლოს თავის მოსვლისას, სასწაულებრივი ფერის-ცვალებისას, უშლიდა მათ ამის გამოქვეყნებას; და თავის აღდგომის შემდეგ არა ყველას ეცხადებოდა, არამედ რჩეულთა თვისთა?

გესმის შენ, რათ არის დაფარული კაცის თვალთაგან საიქიო ცხოვრების ვითარება, რათ აქვს გადაფარებული სქელი ფარდა სიცოცხლის ამოცანის საიდუმლოს — სინამდვილეს უკვდავებისას?..

შენ უმანკო ხარ როგორც ბავშვი; ჯერ არ შეხებია შენს გულს შხამი იჭვნეულობისა; მეგობრებს ჯერ არ აუღიათ ამითი მოშხამული სირჩა

შენის ახალგაზდა სიცოცხლის და უმანკოების სადღეგრძელოდ.

შენ ასეთი მშვენიერი ხარ და წმინდა. მე მინდა, რომ შენ ასეთი იყვე, ასეთი დარჩე საბოლოოდ, ყოველთვის, და მანამ იქვნეულება არ შეეხებია შენს უმანკო სულს, მე მოგითხრობ შენ: როგორ უნდა შეინარჩუნო ეს სიმშვენიერე, ბედნიერება და სიცოცხლის სიხარული, რომელთა გამოც შენ ასე ბრწყინავ...

შეხედე ამ დაუჭკნობელ ყვავილს! ამას ეძახიან უკვდავებას· ნება მომეცი ეს ყვავილი გულზედ გაგიკეთო, და დაე იმან მოგაგონოს ხოლმე შენ ის დიდი საიდუმლო, რომელიც იმაშია დაფარული —საიდუმლო სამარადისო სიმშვენიერისა.

შენ უმანკო ხარ როგორც ბავშვი. მე-კი განვლე ცხოვრების ბნელი უფსკრული იმ სიღრმემდის, სადაც ჰქრება უკანასკნელი სხივი სინათლისა, უკანასკნელი სხივი იმედისა, და ცხოვრებას ეფინება საუკუნო ღამის სიბნელე, —სადაც აზრი უმოძრაოდ რჩება, —სადაც სიმშვენიერე და სიხარული ცხოვრებისა ჰკარგავენ მნიშვნელობას და კვდება თვით სურვილი სიცოცხლისა

მაგრამ ჩემთან იყო უკვდავების ყვავილი; და როდესაც მე ვიმყოფებოდი თვალ-გაუვალი სიბნელის უფსკრულში, —იმან აღძრა ჩემში ახალი ძალები, დახსნა ღამის შავი სახურავი, გაბრწყინდა და განდევნა სიბნელე ძლევა შემოსილი სინათლით... გაჰქრა სიბნელე, გაიღვიძეს გრძნობებმა, აზრებმა და სურვილებმა, და აღივსო სული ცხოვრების ახალი წყურვილით, და ჩემს წინ ერთ წუთს გადაეხადა ფარდა საიდუმლოებას...

და იმის შემდეგ, რაც მე დავინახე, მამშორდა მე უძლური სიბერე, გაჰქრნენ უკვალოდ ეჭვნეულებანი, და შიში სიკვდილისა შეიცვალა განუსაზღვრელ სიხარულზე.

გულსმოდგინებით დამიგდე მე ყური და ნურავის ეტყვი ჩვენ საიდუმლოს, ნურავის გაუმხელ, ნურავის...

ჩვენი დროის ხალხს ჩაუქვრია თავისთვის ლამპარი სარწმუნოებისა და სცხოვრობს სიცოცხლის მხოლოდ გარეგნული მხარით, შეწუხებული მომავალის უცნაურობით. ახალგაზდობა, სიჭაბუკე მალე მიდის, სიმშვენიერე პირისახისა იშლება, სხეული სჭკნება, შუბლზე ჩნდება უშნო დალმენჭილობა, და ადამიანი შეშინებული სდგას ულონობის წინაშე, რომ მოიშოროს თავიდგან აჩრდილი სიკვდილისა. ეს ულონოება თითქოს ურცხვად და თავხედად დასცინის სიჭაბუკის წარსულს სილამაზეს, ადამიანის იმედების და მისწრაფებათა აუსრულებლობას... და აქვს კიდეც, რას დასცინოს: ნაცვლად სიჭაბუკის სიმშვენიერისა, —დამძიმებული, გამშრალი, დაუძლურებული სხეული; ნაცვლად გონების ძლებისა, —უძლური მიხრწნილება, წყევლა-კრულვა წარსულისა.... აი გარეგნული მხარე ცხოვრებისა რომლითაც სცხოვრობს ხალხი, და ჰგონია, რომ სცხოვრობს ნამდვილის სრულის სიცოცხლით.

გაიქეცი, გაიქეცი ასეთის ცხოვრებიდან მთელის ძალებით შენის ახალგაზდა ბუნებისა! შეხედე დაუმჭკნარ ყვავილს უკვდავებისას, რომელიც შენ გულზე გკიდია, და მომეცი მე სიტყვა, რომ არავის ეტყვი იმას, რასაც მე მოგითხრობ: უკვდავების საიდუმლოებაზე; დაუჭკნობელი სილამაზის საიდუმლოებაზე.

შედი ცხოვრებაში თამამად, მაგრამ ნურასოდეს ნუ დაგავიწყდება, რომ მისი გარეგნული მხარე შეადგენს თვით მცირე ნაწილს სიცოცხლის არსებობისას· ცხოვრების გარეგნული მხარით სარგებლობასთან ერთად, ნუ დაგავიწყდება შენი სული, შენი შინაგანი არსება, რომელიც ყველაზე უძვირფასესია და უმშვენიერესია ქვეყანაზე. იგი მხოლოდ არის შენი საკუთარი, რომელსაც ვერავინ წაგართმევს შენ, იგი არის შენი სიხარული, ბედნიერება და მოსვენება, —შენი „წმინდათა წმინდა“. გაალვიძე იგი შენში თვითეული გარეგნული შთაბეჭდილებით, თვითეული სურვილით შენის გულისა.

ქვეყნიური ცხოვრება ჩქარა წარმავალია. სიამოვნების წუთები, სიყვარულის წუთები მალე გადიან და აღარ ბრუნდებიან. ძვირფასნი ჩვენი ნათესავნი და მახლობელნი, რომელთანაც შევყარა ჩვენ ცხოვრების გზამ, და მათთან ყოველივე ის, რითიც სასიხარულოა სიცოცხლე, ადრე თუ გვიან გვშორდებიან და გვტოვებენ ჩვენ მწუხარედ დაუბრუნდებელ წარსულზე და უცნობელ მომავალზე რომლისკენაც ჩვენ ასე გაუჩერებლივ მივისწრაფვით, და კი არ ვიცით—სად არის საზღვარი ამ უცნობელისა, და რაში გამოიხატება იგი, და რითი გათავდება ჩვენი გზა... და თუ ლამპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სულისა გაქრება, რაღა დაგვრჩება ჩვენ ცხოვრებიდგან?!—უაზრობა და მასხარობითი დაცინვა. ეს ხდება მაშინ, როცა ხალხი სცხოვრობს სიცოცხლის მხოლოდ გარეგნული მხარით; მარტო სხეულზე და მის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს.

ნუ მიჰბაძავ ასეთ ხალხს, ნუ წახვალ იმათ კვალზე;—ისინი სცდებიან, და სცხოვრობენ თავის-მოტყუებით... მწუხარებით ივსება ჩემი გული ამის დანახვაზე; მინდა ვუთხრა, დავარწმუნო ხალხი, რომ ეს ასე არ არის,—რომ ეს სიცოცხლე-კი არა, თავისმოტყუებაა,—რომ ნამდვილი სიცოცხლე სხვა არის, რომ მიზანი მისი—ბედნიერება და გაუთავებელი სიხარულია, და რომ იმედი შეხვედრისა ჩვენ ძვირფას წარსრულებთან არასოდეს არ მოგვატყუებს. მაგრამ ისინი არ დამიჯერებენ და დასცინებენ ამ ჭეშმარიტებას. მაშ ნუ ეტყვი შენ იმათ, რასაც მე ეხლა მოგითხრობ მხოლოდ მარტო შენ.

უმთავრესი გამოცანა და მიზანი ცხოვრებისა არის სულიერი გამოღვიძება. იგი მოიპოვება ღრმად თვით-ჩაფიქრებით, აზრების შემოკრებით,—მოიპოვება სარწმუნოებითა და ლოცვით. შეიძინება იგი არა უცებ და არა ჩქარა. მაგრამ რა-კი დაიწყება ეს გამოღვიიძება,—შენ იმავ წუთში მიხვდები გაიგებ ჭეშმარიტ სიხარულს და ბედნიერებას სიცოცხლისას, და გაიგებ, რომ იგინი არსებობენ საუკუნოსთვის. და სიბერე აღარ შემოგეხება შენ, არც სიკვდილი.

გწამდეს ღმერთი ყოვლისა-მყრობელი, მისი განგებულება; ეცადე შენი ცხოვრება და ყოფაქცევა მოაწყო მისი მცნებების თანახმად; სარწმუნოებასთან ერთად ლოცულობდე მას წმინდის გულით, დარწმუნებული, რომ იგი ყურს გიგდებს დ შეისმენს შენს ვედრებას.

მოწმენდილ დღეებში, როდესაც დედა-მიწა უხვად ავსებულია მზის თბილი და ცხოველსმყოფელი სხივებით, და ხავერდის ფრად გაშლილი მშვენიერი ყვავილები გზავნიან თვალგაუწვდენელ ცის სიღრმისკენ კეთილ-სუნნელებას, როგორც წმინდა, უმანკო ლოცვას ქვეყნის გამჩენისადმი.—შენც, მთელის შენი არსებით შეაცქერდი ამ ლაჟვარდ ცას და წარმოიდგინე ღვთის ყოვლად შემძლებლობა, რომლითაც უპყრია მას მთელი ეს განუსაზღვრელი ქვეყნიერება·

საღამოთი, როცა ბინდი შეიცვლება ღამის სიბნელეზე და ცაზე ბრწყინვალედ აენთებიან უთვალავი ვარსკვლავები, როდესაც დედა-მიწა გრძნობს თავის კავშირს მთელი სამყაროს ქვეყნებთან და მათთან ერთად აღავლენს უზენაესის მიმართ ქება-დიდებას, როდესაც ამ დედამიწაზე მიეცემა ძილს უბედურობით და ტანჯვაწვალებით დაქანცული ხალხი გარემოცული ცთომილებით ბოროტებით, ბოროტებისა და სიძულვილისა, ცოდვის ძილით, როდესაც დროებით სცხრება წყევლა, კვნესა, და სიჩუმე ღამისა ეალერსება შენს დაღლილს სულს,—ნუ დაიძინებ შენ ხალხთან ერთად, შეხედე, დააცქერდი ამ საუცხოვო ღამის ცას, ანთებულს, მოჭედილს უთვალავის მოციმციმე ვარსკვლავებით... აზრით გადადი ამ სამყაროს შემოქმედთან და აღავლინე იმასთან ქება-დიდება... შუაღამისას, რომ გამოგეღვიძება, მიდი ფანჯარასთან და შეხედე ცის განუსაზღვრელ სიღრმეს, ყური მიუგდე მის უსიტყვო ლაპარაკს შემომქმედის მიუწთომელ სიდიადეზე, ყოვლად-შემძლებლობაზე და სიყვარულზე. მაშინ ნახავ რა დიდ სიხარულს, ბედნიერებას და ნეტარებას გაიცდი... მაშინ შენ სულში მოეფინება მშვიდობა, იგრძნობ შემსუბქებას ცხოვრების სხვა და სხვა უსიამოვნობისა და მწუხარებისაგან და განათლდები რაღაცა არა ქვეყნიური სინათლით. ამ სულის მშვიდობით მდგომარეობაში შენ გაიგებ, რა წვრილმანი და არაშესამჩნევი იყვნენ ცხოვრების ის ალიაქოთი, რომლიც მძიმე ტვირთად გაწვა შენ. მაშინ შენ მიხვდები ბოროტების სრულიად არარაობას და იგი აღარ შემოეხება შენ სულს. დამშვიდებათ ხელმეორედ დაუბრუნდები ქვეყნიურ ზრუნვას და მოვალეობას, მაგრამ იმ შეგნებით, რომ სცხოვრობ ნამდვილი სიცოცხლით, და არა იმისთვის რომ მოკვდე.

ეხლა შენ მიხვდი ლოცვის საიდუმლოებას უსიტყვებოდ, სულის დაფარულ ლოცვას, მისწრაფებაში ღმერთთან, ყოვლისა შემოქმედთან, რომელმაც ამის პასუხად მოჰფინა შენ გულს მადლის სხივი. შენ ეხლა ძლიერი ხარ ხალხის წინაშე; ამ ძალის შეგნება გაიზარდა შენში ალმაზის ქვად სარწმუნოებისა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს შენ.

რა დიდი ნუგეშია, სიხარული და ბედნიერება. იმის შეგნებაში, რომ შენ მარტო არა ხარ, უმწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოდ არა ხარ, — რომ ღმერთი, შემოქმედი შენი, ისმენს შენს ლოცვას დ გიპასუხებს მასზე, რომ მის მფარველობის ქვეშ, რომელსაც შენა გრძნობ გულში, მშვიდობიანობაა, მშვიდობიანობა. ყველა ხალხები, მთელი ბუნება გახდებიან შენთვის ძვირფასად, ყველას გინდა სიყვარულით გადაეხვიო, და თვით მტრებიც-კი, თუ გყავს, ისინიც-კი სასიყვარულოდ მიგაჩნია იმისთვის, რომ შეურაცხყოფის გრძნობა შეგეცვლება შენ იმათი სიბრალულით, რომელნი მოკლებლნი არიან შენს ბედნიერებას და დიდ სიხარულს საიდუმლოს ცოდნისას. აი ამ წამიდგან დაიწყო შენი გამოღვიძება.

ამ გამოღვიძების წამიდგან უფრო ადვილი იქნება შენი ცხოვრება, გაგიადვილდება შენ ჯვარი ცხოვრებისა, და შენ მხოლოდ ეხლა მიხვდები მაცხოვრის სიტყვებს: ,, აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავლეთ ჩვენგან, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილი არს, და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს.“

ამასთან შენ უნდა გახსოვდეს კიდევ ერთი: დაიცვა სიწმინდე აზრებისა, საქმეებისა. ეცადე შენი ცხოვრება მოაწყო თანახმად სახარების სწავლისა. ყოველივე შენ საქმეში, ყოველივე შენს დაწყებულობაში პირველად ჰკითხე შენ თავსა: ეს საქმე, ეს დაწყებულობა იქნება სასიამოვნო ღვთისთვის, თუ არა? თუ სასიამუვნო იქნება, გააკეთე; ხოლო თუ არ იქნება სასიამოვნო, თავი დაანებე. გიყვარდეს ღმერთი ყველაზე მომეტებულად და ყოველი ადამიანი გიყვარდეს, როგორც შენი თავი. სხვისთვის ის არ მოინდომე, რაც შენი თავისთვის არ გინდა.

თუ შენ ასე მოიქცევი, მაშინ შენ გულში იქნება მოფენილი გამოუთქმელი სიხარული და ქვეყნიურ სხვა და სხვა უბედურობეებშიაც-კი ბედნიერათ იგრძნობ თავს, და თუნდაც სიკვდილი შემოგეხოს შენ, მხოლოდ იმისთვის შემოგეხება, რომ იყვეს ძლეული აღდგომით.

მე გაგიმხილე შენ საიდმლო ჩემის გულისა და გაგიზიარე იგი შენ, იგი წმინდაა, სამართლიანია, როგოლც სინათლე მზის, რომელიც ღამეს დღეთ გარდაჰქმის, როგორც სინამდვილე გაზაფხულისა, რომელიც განაცხოველებს მომკვდარ ბუნებას... გამოღვიძება არ მიეკარება იმას, ვისი სინდისიც შერიგებული არ არის ქრისტესთან, ვისი გულიც თავისუფალი არ არის ბოროტებისაგან და სიმძულვარობისაგან. იგი არ მიეკარება იმას, ვინც გულწრფელობას მოკლებლია, ვისაც არა აქვს ბავშვის უმანკოება იმის მისაღებად.

მაშ ნურავის ეტყვი ჩვენ საიდმლოს. ხალხი ვერ გაიგებს იმას და გადააგდებს მას, ფეხ-ქვეშ გასაქელად და გასაპატიურებლად' — იმის მგზავსად, როგორც გადააგდეს საიდუმლო ქრისტესი და მისცეს იგი მტარვლების ხელთა....

მღვდელი იოანნე ლუკიანოვი.

## ეპისკოპოსი კირიონი სანაქსრის მონასტერში.

როგორც ვიცით, ეპ. კირიონი კურიაჟის მონასტრიდან შუა ზამთარში ცივ სანაქსრის მონასტერში გადაასახლეს. მასუკან აგერ ნახევარმა წელმა განვლო და ეპისკოპოსის შესახებ აღარაფერი ისმის. პირველად მთელი რუსეთის პრესა ახმაურდა, მაგრამ ბოლოს ყველანი მიჩუმდნენ.

თუმცა ისედაც ვგრძნობდი, რა ცხოვრებაში იქნებოდა ეპ. კირიონი სანაქსრის მონასტერში, მაგრამ მსურდა მაინც ჩემი თვალით მენახა, ცოტა ხნით, გამეგო მისი ყოფა-ცხოვრება, გავემგზავრე სანაქსარისკენ. უკანასკნელ სადგურიდან იმის მონასტრამდის სამოცდა ათი ვერსია, რაც, რასაკვირველია, ეტლით უნდა გამევლო. როდესაც ნაშუადღევის ოთხი საათიდან მეორე დღის დილის რვა საათამდის ეტლმა მატარა, მაშინ დავრწმუნდი, რა ტანჯვა უნდა გადაეტანა მოხუცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მოსკოვის საავადმყოფოდან მალზე დასუსტებული გაიტაცეს და ცივ ზამთარში ამ გზას გაუყენეს.

მივედი მონასტერში. გავეშურე ერთ სადგომისკენ, რომელიც უფრო იმის შესაფერ სადგომად მივიჩნიე, მაგრამ ისევ მალე გამოვბრუნდი—«მანდ არ მისცეს ნება დადგომისაო».გადმომცეს ბიჭებმა და თითონვე მიმაცილეს იმის კარებამდის. ეპის. კირიონი მოთავსებულია მეორე სართულში, ორ პაწაწა ოთახში, რაც ერთ მოზრდილ ოთახს მლიევს უდრის, მოწყობილება ღარიბ სტუდენტის ოთახისა აქვს. ეს არაფერი რომ სხვა უფრო დიდი ნაკლულევანება არა ჰქონდეს სადგომს. როგორც ოთახის, ისე დერეფნის, მირს თუ ზემოდ, კედლებიდან სინესტის გამო წყალი გადმოდის და სდგას განუწყვეტელი შმორის სუნი. დერეფანში გავლის დროს ხომ ცხვირზე ხელი თუ არ მოიკიდეთ, სუნით დაიხრჩობით. თვით შენობა ეტყობა ნოეს ხანას უნდა აშენებდეს, ამიტომ ჭერი და იატაკი მთლად დამპალია და სამაყელ სუნს უშვებს, ადგილ-ადგილ ჩამტვრეულია, საიდანაც ბაყაყები ყოველ დღე ესტუმრებიან ხოლმე ოთახში ეპ. კირიონს.

მე, ორ კვირამდის დავყე იქ, მაგრამ ვაი იმ ყოფნას! რასაკვირველია, ჩემთვის ხასიამოვნო იყო მოხუცთან დარჩენა, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ წუთობით ვთვლიდი წამოსვლას და ორი კვირაც რომ მომხდომოდა დარჩენა, ვეღარ შევძლებდი. გარედ გამოსვლაც შეუძლებელი იყო კოღოების გამო. ხან და ხან, როდესაც მოვვენატრებოდა გარედ გამოსვლა, ჩამოვიდოდით ეზოში, მაგრამ მალე სახე დასიებულები სახლისკენ გავრბოდით. პირისახეზე ჩამოსაფარებელი შეკერინებინა ეპ. კირიონს, რომელსაც ხან და ხან ხმარობდა. ოთახშიაც პოულობდნენ კოღოები ბინას და ძილს გვიფრთხობდნენ.

პენსია ჯერ კიდევ არ დაუნიშნიათ და სცხოვრობს მონასტრის ხარჯზე, მაგრამ რა ხარჯზე! ჩემ იქ ყოფნის დროს მთელი ორი კვირის განმავლობაში მიჰქონდათ სადილად ერთი და იგივე გაწყალებული კარტოფილის წვენი. პირველიც ის იყო და უკანასკნელიც. მე.მეგონა, მარტო მარხვაში იყო ასეთი საჭმელი, მაგრამ, როგორც გავიგე, მარხვაშიაც ესა ყოფილა და ხსნილშიაც

დიდ გაჭირვებაშია ეპ. კირიონი, მაგრამ სულით მაინც არ ეცემა. ესკია, ფიზიკურად მალიან დაუძლურებულია, გამხდარი და ნერვებ მოშლილი. ავად არის მალიარიით, რაც დღითი დღე ამაბუნებს და მალ-ღონეს აცლის.

რაც შეეხება ეპ. კირიონის დამოკიდებულებას ბერებთან და გარეშე ხალხთან, აქაც მოუსწრია კეთილ სახელის დამსახურება, დიდიდან დაწყებული პატარამდის ყველა „душа человѣкъ“-ს ეძახის. ასევე ამბობენ ოთხი ვერსის მანძილზე ქ. ტემნიკოვის მცხოვრებნი.

ვიმეორებ, ამ ჟამად, ავადმყოფობის გარდა, ეპ. კირიონი დიდ გაჭირვებაში იმყოფება და ამნაირ ცხოვრებას დიდხანს ვერ შესძლებს.

(„დროება“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწარე ფიქრები

ჰჰჰუ! კინაღამ არ დავიღრჩვით, რომ მალე არ ამოგვესუნთქვა ცოტა რამ თავისუფლებით! გამოცხადდა ომიანობის დროის წესების მოხსნა. სიხარული მოეფინა ყოველგან. დღეის შემდეგ განსვენებით დაიძინებს ყველა. მაგრამ ჩვენში ერთის უბედურობით მეორე ბედნიერდება და ერთის ბედნიერებით მეორე უბედურდება. ომიანობის დროით ერთი სარგებლობდა, მაგრამ მეორე უბედურდებოდა. „შენიშნულ კაცად მიმაჩნიხარ და 23 სტატიის ძალით უნდა გადასახლდე ან ვიატკში ან არხანგელსკში. დამუქრება ხშირად მოდიოდა სისრულეში, მაგრამ ზოგიერთი მოხელის, ვითომ კაცთ-მყვარეობის გრძნობით, სამსახურით შეგეძლო მოგელბო გული მოხელისა, და მოწყალება ეყო და დაებრუნებიე. წინა პირველად როცა ომიანობის დრო გამოცხადდა, არ იცოდა ბევრმა თუ რა უფლება ჰქონდა მინიჭებული სულ უბრალო მოხელეს 23 სტატიით, მაგრამ ბოლოს შეისწავლეს კარგად და, გაქვსთ სიცოცხლე, იმათ კარგათაც იგემეს დროებით!..

სულ ცოტა მიზეზი იყო საკმაო, რომ თავი ამოეყოფინებიათ ვიატკში, არხანგელსკში ან ორენბურგში. ცოლი, შვილები და სახლ-კარი ღვთის ანაბარად რჩებოდა!..

ომიანობის წესების მდგომარეობის გამოცხადებით ყოველი მშვიდობის მოყვარე ქვეშევრდომი დაფარულია მავნე—ბოროტ პირთაგან, მაგრამ ჩვენში სულ სხვა ხდებოდა. მავნე პირებს გაეხსნა ათას ნაირი ასპარეზი ბოროტ მოქმედებისა. იმათი თავხედობა იქამდის მივიდა, რომ ბავშვების და ბოლოს კაცების მოტაცება დაიწყეს და თუ არ გამოისყიდდი მოთხოვნილი ფულებით, ჰკლავდენ მათ. კაცები რომელთაც იჭერდნენ ძალით მიყავდათ, ყვიროდენ ქუჩაში, გვიშველეთო, ბაგრამ ამ დროს პოლიციელს ვერ დაინახავდი, სადღაცა მიიმალებოდნენ... ან კი რას იზამდა, რომ გამოჩენილიყო? პრისტავებს და მათ უმფროსებსაც ქუჩაში გავლის ეშინიათ მარტო, თუ ოთხი და ხუთი სტრაჟნიკი არ გაყვებოდა და ამისთანა კაცი, რომელიც უყარაულოდ ქუჩაში ვერ გაივლის, სხვას რა დახმარებას აღმოუჩენს? ეს სუსტი მხარე ჩვენი დამცველებისა კარგად იციან მავნე პირებმა და მათთვის ერთია ომიანობის მდგომარეობა მოიხსნება თუ არა.

მაგრამ უნდა იცოდეს ხალხმა, რომ თვითონ მიიღოს სხვა-და-სხვა ზომები თავის დასაცველად, თორემ მარტო პოლიცია ვერ იხსნის მას და მარტო პოლიცია ვერ მიანიჭებს მას მშვიდობითი ცხოვრებას და კეთილ-დღეობას. ყოველი კაცი ვალდებულია არ დაფაროს ბოროტი პირი და ყოველივე საშუალება იხმაროს მის გასასწორებლად, თორემ მარტო ომიანობის წესები ვერ დაუმკვიდრებს ხალხს კეთილ დღეობას!...

სოფლის ხუცესი.

# მთავრობის განცხადება

სპარსეთის შესახებ.

რუსეთის მთავრობამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფოებს:

„თუმცა შაჰის მთავრობამ, რუსეთისა და ინგლისის რჩევით, მიიღო ზომები კონსტიტუციის აღსადგენად და საჭირო რეფორმების განსახორციელებლად სპარსეთში, მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა სპარსეთ ს ცენტრში მაინც არ შეჩერებულა. რუსეთისა და ინგლისის მთავრობები, შეეცადნენ აეცილებინათ თეირანზე გალაშქრება ბახტიარებისა, რომელთაც მეთაურობს სერდარ ასადი და კაზვინისა და რეშტის შეერთებული რევოლიუციონერებისა და კავკასიიდან მოსულებისა, რომელთაც ერთად ხელმძღვანელობს გილანის გუბერნატორი სეპეხდარი. მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და მოწინააღმდეგეთა ჯარი თანდათან უახლოვდება თეირანს, სადაც არიან ელემენტები, რომელნიც რევოლიუციონერებს მიუდგებიან, და სადაც ჯერ ცხლავე დიდი მღელვარებაა, რუსეთის მთავრობამ, განიხილა-რა საქმის ასეთი ვითარება, გამოარკვია, რომ რუსის პოლიტიკა სპარსეთში წინანდელ პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე იგი, რუსეთი არ უნდა ჩაერიოს სპარსეთის შინაურ საქმეებში და შაჰისა და იმის ხალხის ურთიერთ შორის ბრძოლაში, რა შედექიც უნდა მოჰყვეს ამ ბრძოლას. ამასთან ერთად მთავრობას არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო ის, რომ შეიძლება ბახტიარებისა და რევოლიუციონერების თეირანში შესვლის შემდეგ განსაცდელში ჩავარდნენ რუსისა და სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომნი, მისსიები, დაწესებულებანი და აგრეთვე ენსელ-თეირანის გზა, მით უმეტეს, რომ მიღებულ ცნობებით, შაჰის ერთად-ერთ გაწვრთნილ ჯარს შეადგენს სპარსეთის ყაზახთა ბრიგადა, დღეს, რომ საექვოა თეირანში. ეს გარემოება სავალდებულოთა ჰხდის რუსის მთავრობას მიიღოს შესაფერი ზომები, რომ საჭიროების დროს დასახელებულ ქვეშევრდომებს და დაწესებულებებს დახმარება გაუწიოს: აგრეთვე უზრუნველ ჰყოს წესიერი მიმოსვლა თეირან-ენზელის გზაზე. ამ აზრით გადასწყდა— გაიგზავნოს ეხლავე ბაქოდან ენზელში რაზმი, რომელშიაც შევა ყაზახთა ნახევარი ბატალიონი და ბატარეია. რაზმი კაზვინს არ უნდა გასცდეს და უზრუნველ ჰყოს მიმოსვლა კაზვინსა და კასპიის ზღვის შორის. რაზმის უფროსს მიეცემა განსაზღვრული ინსტრუქციები იმ მხრივ, რომ ამ რაზმს აზრად ექნება მხოლოდ დახმარება გაუწიოს რუსის და უცხოელების მისსიებს, დაწესებულებებს და ქვეშევრდომებს. ამასთან იგი არ უნდა ჩაერიოს დღეს სპარსეთში არსებულ ბრძოლაში, და საზოგადოდ, სპარსეთის შინაურ საქმეებში. რუსის რაზმი სპარსეთში დარჩება იმ დრომდე, სანამ რუსეთის და უცხოელების წარმომადგენლების და ქვეშევრდომების სიცოცხლე და დაწესებულებათა სიმთელე უზრუნველ ყოფილი არ იქნება.

### რუსულ გაზეთის აზრი სპარსეთის საქმეებზე.

რუსული გაზ. „რეჩ.“ ი ხელახლად ამტკიცებს რომ რუსეთი შემცდარ პოლიტიკას ადგია სპარსეთში. გაზეთი სწერს:

„ჩვენ ხელახლად უბრუნდებით ამ საგანს, რომელზედაც არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი, თუმცა-კი მაინც დიდი იმედი არა გვაქვს, რომ მთავრობამ შეისმინოს გონივრული რჩევა. ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ ლიახოვის მთელი მოქმედება და გენ. სნარსკის რაზმის გაგზავნა დიდი შეცდომა იყო. სპარსეთის საქმეები იმნაირად დატრიალდა, რომ ამ ჟამად ეს შეცდომა ბრმებისთვის-კი ცხადი შეიქმნა. ამ შეცდომის თავიდან აცილება ადვილი იყო, რადგან თვალ წინ გვედგა მაგალითი საფრანგეთისა, რომელიც გაება მაროკოში. რა მოიგო იქ საფრანგეთმა? აუარებელი ფული დახარჯა, ორჯელ კინაღამ ომი არ მოუვიდა გერმანიასთან და მთელი მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან უფრო უარესად გამწვავდა, აი ეს მოიგო საფრანგეთმა მით, რომ თითი ჩაყო „გაჩეხილ ხეში“. მერე-კი ყოველნაირი ღონისძიება მიიღო თითის ამოსაღებად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი ყოფილა. საფრანგეთს ის გასამართლებელი საბუთი მაინც აქვს, რომ იგი ამ საქმეში გააბა გერმანიის დიპლომატიამ, მაგრამ რისთვის წაეტენა რუსეთი სპარსეთის არეულ საქმეებში? ინგლის-რუსეთის შეთანხმება რომ არ არსებობდეს, კიდევ ვიტყოდით, რომ საჭიროა სპარსეთში ინგლისის გავლენის შესუსტებაო და თან იმედი გვექნებოდა, რომ იქნება ეს ჩარევა განსაცდლის გარდა სასარგებლოც გამოდგეს, მაგალითად, შევძლოთ ადერბეიჯნის დაჭერა. მაგრამ ინგლის-რუსეთის შეთანხმებამ მოსპო ამ ორსავ ქვეყნის მეტოქება სპარსეთში და ამასთანავე მოსპო სარგებლობის იმედიც. ინგლის-რუსეთის შეთანხმება იმითაა სწორედ დასაფასებელი, რომ რუსეთს შეეძლო შორიდან დინჯად ეცქირნა იქაურ შფოთისთვის და დაეცადა, სანამ იგი თავის თავად დასრულდებოდა. ეს მით უფრო ადვილი იყო, იქაურ შფოთს ბოლო ელებოდა და ახალ წესების მომხრენი სძლევდნენ ძველის მომხრეებს. შაჰისთვის რომ დახმარება არავის გაეწია, იგი იძულებული იქნებოდა ან სახალხო წარმომადგენლობა დაეწესებინა, ან არა და თავისი ტახტი დაეთმო სხვა მმართველისთვის, რომელიც არ იქნებოდა ეხლანდელ შაჰივით დაბრმავებული და კერპი. ჩვენთვის ხომ სულ ერთი იქნებოდა, სპარსეთის ტახტზე მამედ-ალი-შაჰი იჯდებოდა, ზილი-სულთან, თუ სხვა ვინმე.

რუსეთის პოლიტიკის უმთავრესი ცოდვა არის ორჭოფობა, რუსეთი ხან მალულად ერევა სპარსეთის საქმეებში, ხან ცხადად, ხან სულ არ ერევა. რუსეთის ასეთმა ორჭოფმა პოლიტიკამ ჩაქრობის მაგივრად უფრო გააძლიერა სპარსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეულობა და უფრო ძლიერ შეარყია შაჰის ტახტი, რომლის გამაგრებაც უნდოდა. რუსის ჯარის შესვლამ თავრიზში შაჰს ხალხის უკანასკნელი ნდობაც დაუკარგა და ბახტიარებსა და კაზვინელ რევოლიუციონერებს გააბედვინა თეირანზე გალაშქრება...

რუსის ახალი კონსული.

20 ივნისს ქალ. ასტარაში მივიდა რუსის ახალი კონსული გირსი და 30 ყაზახის თანხლებით გაემართა ქალ. არდებილში, სადაც იგი დაინიშნა კონსულად.

შაჰის ჭკარამხანა.

17 ივნის ღამით სულთანაბადიდან, სადაც შაჰი იმყოფება ამ ჟამად, თეირანში მოვიდა რამდენიმე ეტლი ძლიერის კანვოის თანხლებით. ამ ეტლებით შაჰის ცოლები წაიყვანეს სხვა უფრო უშიშარ ადგილსო. შაჰმა თავისი ძვირფასი ნივთებიც მათ გაატანა თურმე შესანახად.

მთავრობის შეშინება.

რევოლიუციონერების გალაშქრებამ თურმე თავზარი დასცა შაჰსა და მინისტრებს. გარეშე საქმეთა მინისტრს საად-უდ-დოულეს მრავალი მუქარის წერილი მოსდის; დანარჩენი მინისტრები შიშით შინიდან გარედ ვერ გამოდიან თურმე.

რუსეთის ელჩის განცხადება.

რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა საბლინმა გამოუცხადა რუსის ქვეშევრდომებს. თუ თეირანში უწესოება დაიწყო, რუსეთის ბაირაღები გაშალეთ თქვენ სადგომებზე და თქვენ თითონ რუსეთის საელჩოში წამოდით, იქ აღარაფერი დაგიშავდებათო.

# ს პ ა რ ს ე თ ი ს ა მ ბ ე ბ ი

რევოლიუციონერების გამარჯვება.

„ტიფლ. ლისტ.“-ს დეპეშით ატყობინებენ კაზვინიდგან:

„21 ივნისს, რევოლიუციონერების რაზმები შეერთდნენ კერეჯის ხიდთან, რომელიც თეირანს ახლომდებარეობს და წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნკტს. კერეჯის ხიდს, როგორც ვიცით, დიდი ხანია იცავენ შაჰის ჯარისკაცები და ყაზახთა ბრიგადის ნაწილი. ხიდის ორსავ მხარეს სიმაღლეებზე დადგმული იყო ზარბაზნები.

თუმცა რევოლიუციონერებმა იცოდნენ, რომ ხიდზედ ტყვიის მტყორცნელებიც იდგა, მაინც მათ გადასწვიტეს ამ პოზიციის აღება, მხოლოდ ღამით-კი, რომ შაჰის ზარბაზნებს და ტყვიის მტყორცნელებს დიდი ზარალი აღარ მიეცა მათთვის.

21 ივნისს გათენებისას რევოლიუციონერების შეერთებული რაზმები მიუახლოვდნენ კერეჯის ხიდს, ზარბაზანი დაუშინეს და საქმე გაუჭირვეს შაჰის ყაზახებს. ბახტიარებმა მოინდომეს ხიდის მოვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან მდინარეში უხიდოდ გასვლა შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ რევოლიუციონერებმა მედგარი იერიში მიიტანეს ხიდზე. შაჰის ჯარი შეშინდა, აირია და ცოტა ხნის შემდეგ ხიდი დაიჭირა კაზვინელ რევოლიუციონერების მეთაურმა საპეხდარმა, რომელსაც დავლად ერგო ზარბაზნები და თოფები, შაჰის ჯარისკაცებისა და ყაზახებისგან დატოვებული.

მოკლული და დაჭრილი შედარებით ბევრი არაა.

რევოლიუციონერებს დიდი იმედი აქვთ, რომ მეორე შეტაკების დროს შაჰის ჯარის კაცები და ყაზახები მათ მხარეს გადავლენ.

რევოლიუციონერები მიუახლოვდნენ, თეირანს ამ ორ დღეში გადასწყდება თეირანის ბედი.“

ამავე ბრძოლის თაობაზე ატყობინებენ „კავკაზ“-ს: „20 ივნისს რევოლიუციონერებმა აიღეს კერეჯი. სამის საათის წინააღმდეგობის შემდეგ შაჰის ყაზახებმა ზარბაზნები დატოვეს და უკან დაიხიეს“.

ამავე გაზეთის კორესპონდენტი იუწყება რეშტიდან. აქედან ყოველ დღე 30-40 შეიარაღებულ რევოლიუციონერს უგზავნიან საშველად თეირანზე გალაშქრებულ რაზმებს.

რა აზრით გაგზავნა რუსეთმა ჯარი სპარსეთში.

ინგლისური გაზ. „ტაიმ“-ი, რომელიც ბოლოს დროს თავგამოდებით ესარჩლება და ამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს რუსეთის მთავრობის პოლიტიკას სპარსეთში, შემდეგს იუწყება. „პეტერბურგში დარწმუნებულნი არიან, რომ ბახტიარები და რევოლიუციონერები, გაიგებენ თუ არა, რომ რუსეთი ძლიერ რაზმსა ჰგზავნის სპარსეთშიო, გონს მოვლენ და უფრო ზომიერ მოთხოვნებს წარუდგენენ შაჰსაო. აი ამ მოსაზრებით დასთანხმდა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ჯარის ხელ-ახლად გაგზავნას სპარსეთშიო.“

## ო ს მ ა ლ ე თ ი

ახალგაზდა ოსმალო — ფინანსთა მინისტრად დანიშნეს.

როგორც დეპეშიდან ვიცით, ოსმალოს ფინანსთა მინისტრი რიფაატ ფაშა თანამდებობიდან გადადგა და მის მაგივრად დაინიშნა ქალ. სალონიკის დეპუტატი ჯავად-ბეი. იგი გამოჩენილი წევრია ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტისა. ჯავიდ-ბეის ფინანსთა მინისტრად დანიშვნას სთვლიან ახალგაზდა ოსმალთა პარტიის დიდ გამარჯვებად. აა პარტიას ეხლა ოფიციალური წარმომადგენელი ეყოლება სამინისტროში. აქამდე მინისტრებად ინიშნებოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ეთანხმებოდნენ ახალგაზდა ოსმალთა პარტიის აზრებს. ჯივიდ-ბეიმ პალატის ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა, როგორადაც პირველ საკონსტიტუციო ბიუჯეტის მომხსევებელმა.

ჰფიქრობენ, რომ ჯავიდ ბეის შემდეგ სამინისტროში შევა ახალგაზდა ოსმალთა პარტიის მეორე გამოჩენილი წევრი. პალაშის თავმჯდომარის ამხანაგი თალაატ-ბეიო; იგი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნება ფერიდ-ფაშის მაგივრადაო.

## უ ც ხ ო ე თ ი

### რუსები მანჯურიაში

გერმანულმა გაზ. „ფრანკფ. ცაიტუნგ“-მა ვრცელი წერილი უძღვნა რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობას მანჯურიაში. გაზეთი თავდაპირველად ლაპარაკობს იმ შეთანხმებაზე, რომელიც ამას წინად რუსეთმა და ჩინეთმა ერთმანეთთან დასდვეს ქალ. ხარბინის თაობაზე.

მეტად ხანგრძლივი მოლაპარაკება რუსეთს და ჩინეთს შორის დაგვირგვინდა ჩინეთის განუსაზღვრელი ხელმწიფება რუსეთ-ჩინეთის რკინის გზის მთელს ტერიტორიაზე, ხოლო ამ გზის ახლო მდებარე ყველა ადგილი ადიარა ყველა სახელმწიფოსთვის ხელმისაწდომად: იქ ყველას ვაჭრობის თანასწორი უფლება ექნება. ამ საზოგადო შეთანხმებას ამ ჟამად დაემატა ახალი შეთანხმება ქალ. ხარბინის მმართველობაზე. გაზეთი აქებს ამ შეთანხმებას, რადგან იგი მეტად სასარგებლოა ყველა სახელმწიფოს ვაჭრობისთვის.

თუმცა რუსები დიდხანს განუსაზღვრელად ბატონობდნენ ჩრდილოეთ მანჯურიაში, მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ ეკონომიურად გამაგრება ამ მდიდარ პროვინციაში. რუსებს ისე ქარაფშუტულად მიჰყავდათ საქმე რომ ხარბინში ჯერ კიდევ ომის დროს დაიკეტა ორთქლის წისქვილები. რუსეთ ჩინეთის ბანკმა არა თუ არ ააყვავა რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა მანჯურიაში, პირიქით მთლად დასცა ვაჭრობაც და მრეწველობაც. ხარბინის მცხოვრებნი დიდი ხანია პროტესტს აცხადებდნენ რუსების თვითნებობის და უხეირო მმართველობის წინააღმდეგ და სურვილს აცხადებდნენ, რომ ხარბინში თვითმმართველობა დაწესებულიყო. სანამ ხარბინში რუსები ბატონობდნენ, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა და საზოგადოებრივი კეთილდღეობა სუსტ კრიტიკასაც ვერ გაუძლებდა.

რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა ჩრდილოეთ მანჯურიაში სუსტი აჩრდილია იმ ყოვლად ძლიერ ბატონობისა, რომელიც მას მოპოებული ჰქონდა წინად. რაც შეეხება რკინის გზას. იგი თანდათან ხდება საერთაშორისო გზად. ახალი შეთანხმება ხარბინის თაობაზე წარმოადგენს ჩინეთის გამარჯვებას. ამას იქით ჩინეთი თავის ხალხით გაავსებს მანჯურიას, რომელიც რუსების შემოსევის შემდეგ, უფრო ძლიერ დაათვალიერეს და უფრო შეიყვარეს ჩინელებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტოს კუნძულის საქმე

### საბერძნეთის პროტესტი.

ოსმალეთის მთავრობის გაზ. „იტიხადი „იუწყება: საბერძნეთის მთავრობამ იჩივლა დიდ სახელმწიფოებთან, რომ ოსმალეთი საბერძნეთის წინაალმდეგ საომრად ემზადებაო. ამ ნოტის პირი ოსმალეთის მთავრობასაც გაუგზავნეს.

### ოსმალეთის პასუხი.

საბერძნეთის ნოტის პასუხად, ოსმალეთის მთავრჯბამ მისწერა სახელმწიფოებს: „საბერჰნეთმა პირველმა დაიწყო საომარი მზადება; საბერძნეთის ჯარი უკვე მოგროვდა ქალ. დარისასთან ოსმალეთის საზღვარზე, კუნძულ კრიტოსის დროებითმა მთავრობამ საზღვარ გარედ ხუთი სამთო ბატარეია შეუკვეთა საბერძნეთის სამეფოს ხარჯით, ამას წინად კრიტოსზე გემით მიიტანეს 5 ათასი თოფი მანლიხერის სისტემისა და თითონ კუნძული კრიტოსიც გაჩქარებით ემზადება საომრადაო.

### ოსმალები ომის გუნებაზე არიან.

ვენულ გაზ. „ნ. ფრ. პრესე“ იუწყება: ოსმალეთის უმაღლესი სამხედრო წრეები გაჯავრებულნი არიან გარეშე საქმეთა მინისტრზე რიფაატ-ფაშაზე, რომელიც მათის აზრით, მეტად მძიმედ იქცევა. რიფაატ-ფაშა რომ მარჯვედ მოქცეულიყო, სახელმწიფოები დიდი ხანია დასთანხმდებოდნენ, რომ ოსმალეთს ესკადრა გაეგზავნა კრიტოსისკენ, რაც განამტკიცებდა ოსმალეთის უზენაეს უფლებას კრიტოსზეო.

როგორც ამბობენ, მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, დაბეჭდილ კონვერტით ბრძანება გაეგზავნოს ინგლისელ ადმირალ გემბეს, რომელიც თავის ესკადრით მარმარილოს ზღვაში დგას, — რომ მან კრიტოსისკენ წაიყვანოს ესკადრა და უფროსობა გადასცეს ოსმალელ ადმირალ, რომელიც დემონსტრაციას მოახდენს და ჯარს გადაიყვანს კუნძულზეო.

საბერძნეთის ბოლოინდელმა ნოტამ, როგორც ეტყობა, უფრო გააფიცხა ოსმალეთის მთავრობა. ოსმალელი აფიცრები ძლიერ აღელვებულნი არიან. ისინი ამბობენ: „ათინა სალონიკის ჯარისთვის სტამბოლზე შორს არ არისო“. მარშალმა მახმუდშევკეთ-ფაშამ გამოუცხადა კორესპოდენტებს, თუ მთავრობა და სულთანი გადასწყვეტენ ომის დაწყებას — მთელი ოსმალეთი, როგორც ერთი კაცი, დაუჭერს მათ მხარსო.

სალონიკის მესამე კორპუსის უფროსმა უბრძანა დივიზიებისა და პოლკების უფროსებს, მოემზადენით ჯარში გამოწვეულ სათადარიგო ჯარის კაცების მისაღებადო.

ოსმალეთის მთავრობამ გადასწვიტა, ჯარი ჩააყენოს კუნძულ კრიტოსზე, როცა სახელმწიფოები იქიდან თავიანთ ჯარს გაიყვანენო. მთავრობა ისევ ომს ამჯობინებს შინაურ არეულობას, რომელიც უთუოდ დაიწყება, თუ მთავრობა გაბედულ და ძლიერ-ღონისძიებას არ მიიღებს ოსმალეთის სახელმწიფო ღირსების დასაცველადო.

### ბოიკოტი.

სტამბოლშიაც გამოუცხადეს ბოიკოტი ბერძნების საქონელს.

### ინგლისის პროტესტი.

როგორც უკვე ვიცით, ინგლისმა შემდეგი წინადადება მისცა სახელმწიფოებს კრიტოსის საქმის მოსაწესრიგებლად: კუნძული ნომინალურად დარჩება ოსმალეთის სულთნის უზენაესს ხელმწიფების ქვეშ; საბერძნეთის მეფე ჰნიშნავს კუნძულ კრიტოსის გენერალ-გუბერნატორს; უცხოეთის ჯარი გაყვანილ იქნება კრიტოსიდან. ორივე მფარველი სახელმწიფო რიგ-რიგად დააყენებს კრიტოსის ახლო სამხედრო გემს ოსმალეთის უზენაეს უფლების დასაცველად.

„ნოვ. ვრემია“-ს სტამბოლელი კორესპოდენტი იუწყება, რომ ოსმალეთის მთავრობამ არ შეიწყნარა ინგლისის წინადადებაო.

როგორც ამბობენ, ეს წინადადება არც კრიტოსელებს მოსვლიათ ჭკუაში. მათ უნდათ, როკუნძულის საქმე ეხლავე ერთხელ და სამუდამოდ გადასწყდეს.

### სახელმწიფოების გადაწყვეტილება.

მფარველმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს კუნძულ კრიტოსთან სამხედრო გემის მაგივრად დატოვონ ოთხი კრეისერი, რომლებსაც საჭიროების დროს შეეძლებათ 4 ათასი ჯარისკაცის გადაყვანა ხმელეთზე ოსმალეთის ბაირაღის დასაცვე-

ლად. ამას გარდა ამ ჯარმა სხვა სახელმწიფოებს უნდა დაუშალოს ჯარის გადაყვანა კრიტოსზე.

„საბერძნეთი გაბედულად დაიწყებს ომს“.

ვენიდან ატყობინებენ „რეჩ“-სა: მფარველმა სახელმწიფოებმა პროექტი შეადგინეს: კრიტოსზე დაარსონ ავტონომიური სახელმწიფო, წინანდელ აღმოსავლეთ რუმელიის მსგავსად. ეს ახალი სახელმწიფო იქნება ნაწილი საბერძნეთის სამეფოსი. ხოლო მაინც ისევ ოსმალეთის სულთნის უზენაეს ხელმწიფების ქვეშ დარჩება. საბერძნეთის მეფემ არ მოიწონა თურმე ეს პროექტი. მფარველ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გააფრთხილეს მეფე: შეიძლება თქვენმა უარმა ომი გამოიწვიოს ოსმალეთთანაო. მეფემ გადაჭრით უპასუხა თურმე: საბერძნეთი გაბედულად დაიწყებს ომსაო.

„ომი აუცილებელია“.

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ლაპარაკობენ, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის აუცილებლად მოხდება ომიო.

ზოგიერთს დიპლომატს საჭიროდ მიაჩნია, რომ საბერძნეთისა და ოსმალეთის დავა საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გადასაწყვეტად. მაგრამ ამ აზრს წინააღუდგა ოსმალეთის მთავრობა რადგან მას უნდა, რომ კრიტოსი წინანდელ პირობებში დატოვონ. ზოგი დიპლომატი ჰფიქრობს, რომ სახელმწიფოებმა კრიტოსის საქმეზე უთუოდ უნდა მოახდინონ კონფერენცია, თორემ უამისოდ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის, აუცილებლად ომი მოხდებაო.

თეირანს ალყა შემოარტყეს.

თეირანს ყველა მხრიდან უახლოვდებიან რევოლიუციონერთა რაზმელები. 15 ივნისს კაზვინიდგან თეირანზე გაილაშქრა ერთმა რაზმმა თითონ საპეხდარის უფროსობით. ისპაჰანიდგან დაიძრნენ ბახტიარები სარდალ ასადის უფროსობით, ამ ჟამად ბახტიარების რაზმი იმყოფება თეირანიდან 138 ვერსტის მანძილზე. მაზანდერანიდან გაილაშქრეს თეირანზე რაზმებმა მოფაკამის უფროსობით. ამას გარდა თეირანისკენ მიდიან ადერბეიჯნის და გილანის რაზმები. რევოლიუციონერები ოთხი მხრიდან უახლოვდებიან თეირანს. პარიზიდან მოულოდნელად მივიდა სპარსეთში შაჰის ბიძა ზილისალტანე. თეირანის ბაზრებში ბევრს წითელ მატერიას ჰყიდიან ბაირაღებისთვის. რევოლიუციონური კომიტეტები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან. მინისტრი საად-დოულე სამსახურიდგან გადადგა. მას აბრალებდნენ რუსების მომხრეობას და სთვლიდნენ გენ. სნარსკის რაზმის მოსვლის საბაბად. („ზ“.)

გილანის რევოლიუციონერების მეთაურები ამიდ-ეს-სალთანე და სომეხი ეფრემი ამ ჟამად იმყოფებიან რეშტში. მათ მიემხრო შახსევნების მეთაური სარდალი მუსაფერი მთელის თავის ცხენოსან რაზმით. მცოდნე კაცები ჰფიქრობენ, რომ რევოლიუციონერები უთუოდ გაიმარჯვებენ, თუ რუსეთი არ ჩაერევა, და შაჰს მხარს არ დაუჭერსო. („კ“.)

რად დანიშნეს საპეხდარი თავრიზის გენერალ-გუბერნატორად.

როგორც ვიცით, გილანის რევოლიუციონერების მეთაური საპეხდარი თავრიზის გენერალგუბერნატორად დანიშნა სპარსეთის მთავრობამ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ფერმან-ფერმამ მისწერა საპეხდარს:

„თავრიზის გენერალ-გუბერნატორად დაგნიშნეთ განსაკუთრებულ უმაღლესის მოსაზრებით. სანამ თქვენ თავრიზში მიხვალთ იქაურ რუსის ჯარის ორი მესამედი უკვე გაყვანილი იქნება და იქაური საქმეები ჩვეულებრივ მიმდინარეობას მიიღებს. თქვენი და თავრიზის ენჯუმენის ყველა ა-რობას ვეთანხმებით“.

რევოლიუციონერები დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობას უნდა საპეხდარი, როგორც ს[illegible]-ში კაცი, მოაშოროს რევოლიუციონურ [illegible]-ნიდან, რომელიც უფრო ახლოა თეირანზე და ამიტომ დანიშნა საპეხდარი თავრიზის გენერალ-გუბერნატორადო.

სახელმწიფოების ნოტა.

მფარველმა სახელმწიფოებმა ნოტა გაუგზავნეს ოსმალეთსა და საბერძნეთს კრიტოსის საქმეზე. მათ გამოუცხადეს ოსმალეთს, რომ კრიტოსის მმართველობის წესებს ისინი უოსმალეთოდ შეიმუშავებენ, ამნაირად მათ უარი უთხრეს ოსმალეთს, რომელმაც მოითხოვა, რომ ხსენებულ წესის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავებაში მის წარმომადგენელსაც მიეღო მონაწილეობა. ამავე დროს სახელმწიფოებმა გააფრთხილეს საბერძნეთის მთავრობა, რომ იგი, არც პირდაპირ და არც როგორმე სხვანაირად, არ ჩაერიოს კრიტოსის საქმეში.

---

## ახალი ამბები და შენიშვნები.

⁂ კიბე არქიელის გორაკზე ქალაქის გამგეობას გადუწყვეტია თავის მხრით გადასდოს ოთხასი მანეთი არქიელის გორაკზე ახალი ქვის კიბის გასაკეთებლად, რომელსაც 200-საფეხური ექნება. კიბის გაკეთება სულ ჯდება 1500 მანეთად. ამ ფულის ერთ ნაწილს იხდის სამღვდელოება, მეორეს გორაკის მცხოვრებნი და მესამეს 400 მ. ქალაქის თვით მმართველობა.

ჩვენის აზრით ამ კიბის გაკეთების მიზანია ის, რომ მოთავეები ამ კიბისათვის შეგროვილი ფულებიდან გამორჩენ რამეს. როგორც სჩანს კიბეს აკეთებენ ქვისას და არა ცემენტისას, რომელიც მესამედით ნაკლებ ფასად დაჯდება. რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომც სამღვდელოება მესამედ ნაწილს იხდიდეს ეს სულ სიცრუეა. სამღვდელოებამ უარი განაცხადა სასწავლებლის უსაჭიროეს ხარჯებზე და რას დაეძებს კიბეების გაკეთებას, ქუთათურ მანდილოსნების ჩამოსასვლელ კიბეს ბულვარის გზის სატკეპნელად. კრების გათავებისას კანცელარიის მდივანმა შეიტანა წინადადება, რომ სამღვდელოება შეწეოდა თითო მანეთს ამ კიბის გასაკეთებლად და როგორც მოგეხსენებათ ხათრი ვერ გაუტეხეს მას და, კრების დასასრულს, კანონს გარეშე შეიტანეს კითხვა ამ კიბის ფულების გარდახდაზე. დეპუტატებს გარდააწყვეტინეს ისეთი საქმე, რომელზედაც არც ერთ მათგანს უფლება არ ჰქონდათ. დეპუტატებს არა აქვს ვექილობა მოწყალების და საჩუქრების გაცემაზე და გარეშე სასწავლებლის საქმეებისა გადასახადი დაადვას თავის ამომრჩევლებს. სამღვდელოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამას და აუკრძალოს თავის დეპუტატებს, რომ შემდეგში არ გაბედონ ამისთანა უკანონო განჩინების დადგენა.

⁂ სინოდის დადგენილება. „სინოდს ამ დღეებში თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოლოს ლოთობას. სინოდს, სხვათა შორის, დაუდგენია მისწეროს სემინარიების მთავრობებს, რომ ეს უკანასკნელნი საჩქაროდ შეუდგნენ მოსწავლეების მზადებას ლოთობასთან საბრძოლველად“.

რა ადვილია ლოთობის წინაამდეგ ბრძოლა ქაღალდზე! ლოთობის წინაამდეგ ბრძოლა არის სამიკიტნოების და ვოდკის სასმელებით ვაჭრობის მოსპობა, ამისთვის, პობედნოსცევის სიტყვისამებრ, სემინარიელები კი არა მთელი ლეგიონი ეშმაკებისა ვერ შესძლებენ ამას. სამღვდელოებას ეუბნებიან გარყვნილობის წინაამდეგ იქადაგეთო და საროსკიპო სახლებს კი ამრავლებენ! აგერ წინეთ მღვდლებს დაავალეს ქადაგება ლოთობის წინაამდეგ და სიხარულით აცხადებდენ, რომ მოსკოვის ვოდკის ქარხანამ სამოცი ათასი ფუთით მეტი სპირტის სასმელი გაასაღო. ლოთობას სემინარიელები კი ვერ შეებრძოლებიან, ჩვენის აზრით, საჭიროა საშუალება და ზომის მიღება, რომ თვითონ ისინი არ შეეჩვიონ ლოთობას... ამას ცხოვრება გვიკარნახებს...

⁂ ახალი საეპისკოპოსო კათედრა. სინოდს დაუდგენია სამისიონერო საქმე ცალკე დაწესებულებად გამოჰყოს. ამ დაწესებულების სათავეში იდგება განსაკუთრებული ეპისკოპოსი, რომელიც მარტო სინოდისგან იქნება დამოკიდებული.

საინტერესოა რამდენი იქნება დანიშნული ჯამაგირი ამ განყოფილებაში...

⁂ სატუსაღოებში. სატუსაღოების მთავარ განყოფილების სტატისტიკური ცნობით რუსეთის სატუსაღოებში (გარდა ფინლიანდიისა) 1909 წლის პირველ იანვრისთვის ყოფილა 130,865, ტუსაღი, თებერვალში—182,137, მარტში—181,438' აპრილში—181,241 ტუსაღი.

⁂ საეკლესიო მამულის გაყიდვა გროშის ფასად. მკითხველებისათვის ახალი ამბავი არ არის როგორ გაწყალდა და გაჰქრა საქართველოს საეკლესიო ქონება და მამულები, ამაზე ბევრი დაწერილა, ამიტომ ეხლა ერთ უკანასკნელ ამბავს მოგითხრობ მხოლოდ. ამ ოთხი-ხუთი წლის წინად, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, გაიყიდა საეკლესიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული ტფილისში. სამღვდელოებას ადრე სანთლის ქარხანა ჰქონდა ვორონცოვის ქუჩაზე საეკლესიო მიწაზე. ეს მიწა ზომით 2 დესიატინაა. სამღვდელოებამ ქარხანა გადაიტანა ვერაზე, სადაც შეიძინა მიწა და კარგად მოწყობილი შენობა. ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვის დროს ვორონცოვის ქუჩაზე საეკლესიო მამული სასულიერო მთავრობამ გაჰყიდა სულ 27,000 მანეთად. სომეხ-თათართა შეტაკებამდე, როგორც მცოდნე პირთაგან გავიგეთ, პოლიციის მე-6 ნაწილში მიწა გაცილებით უფრო ძვირად ფასობდა. მაინც დღესაც ამ ადგილის მეზობლად მემამულენი ოთხ-კუთხ საჟენს 30—40 მ. აფასებენ. ეს ფასიც რომ მივიღოთ, ორი დესეტინა გამოდის 134,000 მ., დავაკლოთ, 44,000 მანეთიც, მაინც 100,000 მ. რჩება. აი ასეთი მამული 27,000 მაეთნად გაჰყიდეს. ამბობენ, ამ ფულით ექსარხოსის საცხოვრებელი ბინა შეაკეთესო. ამას წინად გაზეთებში პატარა ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ სიონის ტაძრის წინამძღვარმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე. სიონის წინ ქუჩა მეტად შევიწროვებულია და დაგვეხმარეო, რომ ამ ძველ საკათედრო საკრებულო ტაძრის წინ მოედანი ცოტა გავაფართოვოთო. როგორც მცოდნე და მომსწრე პირები ამბობენ, სიონის საკუთარი ადგილები სიონის ზემოდ სოლოლაკისაკენ დესეტინობით იყიდებოდა, ალბად სასულიერო მთავრობის ნებართვით, საჟენი 80 კაპ.—1 მან. და ეხლა სიონის საკრებულოს თვით გაუხდა სათხოვარი ერთი საჟენი მიწა. ამისთანა ამბავი ბევრი მომხდარა დღემდე და რასაკვირველია, მოხდება დღეის შემდეგაც როგორც ვწერდით, ჰყიდიან აგრეთვე სემინარიის ძველ შენობასაც. ვინ იცის, იქნება ამ მილლიონად ღირებულ ადგილსა და სახლსაც, რომელიც საქართველოს საეკლესიო ხაზინამ ამ 80 წლის წინად შეიძინა. 82,000 მანეთად ზუბალაშვილებისაგან, იგივე ბედი ეწვიოს...

*** საჩივარი ბოქაულზე. ტფ. გუბერნატორს და ოლქის სასამართლოს პროკურორს მიხაილოვიდან დეპეშით საჩივარი მოსვლიათ სურამის ბოქაულ ალბერტზე. ო. ამაშუყელი, კ. ცქიტიშვილი და ს. იოსელიანი ატყობინებენ გუბერნატორსა და პროკურორს, რომ ხსენებულმა ბოქაულმა მიხაილოვში, დევდარიანის რესტორანში, თავის სტრაჟნიკებით გვცემაო (ტ. ლ.)

რა გასაკვირველია, მერე, რომ პრისტავმა სცემა ამ კაცებს. პრისტავები ომიანობის დროს თურმე ფარულ უნდა სცემდნენ ხალხს უმიზეზოთაც. ომიანობის წესების დროს ისინი სავალდებულოდ რაცხვენ ხალხის ცემას...

*** სამხედრო და საგანგებო წესების მოხსნა, როგორც პეტ. დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს მთავრობას ბრძანება გაუცია, კავკასიაში სამხედრო და საგანგებო წესების მოხსნის შესახებ. საგანგებო წესები მოიხსნა ქალაქ ბათუმში და კინტრიშის ნაწილში, ხოლო სამხედრო წესები—მთელ კავკასიაში გარდა ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრისა. სამხედრო წესები რჩება აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზის რაიონში. დეპეშა არაფერს გადმოგვცემს იმაზე, თუ იქ, სადაც სამხედრო და საგანგებო წესები მოხსნეს, შემოიღებენ თუ არა სხვა რამ წესებს.

*** გორის მაზრის სამღვდელოება და სემინარიის შენობა. 16 ივნისს მოხდა გორის მაზრის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. სხვათა შორის კრება შეეხო სემინარიის შენობის საკითხს. როგორც ვიცით, „კავკაზში“ იბეჭდება განცხადება სემინარიის შენობის იჯარით გაცემისა ან გაყიდვის შესახებ. დეპუტატებმა იქონიეს მსჯელობა ამაზე და შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნეს ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობას: „გორის მაზრის სამღვდელოების დეპუტატებმა, წაიკითხეს რა გაზ. „კავკაზის“ მე 133 ნომერში დაბეჭდილი განცხადება სემინარიის გამგეობისა ძველ შენობის იჯარით გაცემისა თუ გაყიდვის შესახებ, საჭიროდ სცნეს სთხოვონ ხსენებულ სემინარიის გამგეობას, შეაჩეროს გაყიდვა შენობისა, სანამ ამ ყველასათვის საინტერესო საკითხის შესახებ ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრება არ გამოსთქვამს თავის აზრს. ამავე საგნის შესახებ აღიძრა შუამდგომლობა მის ყოვლად უსამღვდელოესობის დროებით საქართველოს საექსარხოსოს გამგის, ბაქოს ეპისკოპოსის გრიგოლის წინაშე“.

*** ადმინისტრატიულად გადასახლებულთა ბედი. „რუსკ. ვედ.“-ში ვკითხულობთ: კავკასიაში სამხედრო წესები მოხსნეს. კავკასიიდან ბევრია გადასახლებული ჩრდილოეთ გუბერნიებში სამხედრო წესების მოხსნამდე. მთავრობის განმარტებით, კავკასიიდან შიდა რუსეთსა და ციმბირში გადასახლებულების სამშობლოში დაბრუნება თვითეულ შემთხვევაში კავკასიის უმაღლეს მთავრობაზეა დამოკიდებული. ადგილობრივს მთავრობას უფლება აქვს გადასახლებულს განსაზღვრულ დრომდის აუკრძალოს სამშობლოში დაბრუნება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს დრო 5 წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს.

*** რევოლიუციონურ ჯარის მოქმედება. „რუს. სლოვოვ“-ს ატყობინებენ თეირანიდან:

„კაზვინელ რევოლიუციონერების მეთაურმა სეპეხდარმა კერეჯი რომ აიღო, შაჰის ჯარმა უკან დაიხია და კერეჯისა და თეირანის შუა რაზმად დაჰყო, ბნელ ღამეში უცებ დაიძრა, მაღალ მთებს უკან მოუარა შაჰის ჯარს და თეირანს მიუახლოვდა. მისი ერთი რაზმი თეირანის ძველის გზა-ტკეცილით დაუბრკოლებრივ გაემართა სოფელ ხირმანისკენ, რომელიც მდებარეობს შაჰის ეხლანდელ რეზიდენციის—სალთან-აბადის ახლო, ხოლო მეორე რაზმი, თითონ სეპეხდრის მეთაურობით, მიუახლოვდა სოფელ შახრიარს, სადაც იმყოფებოდა ბახთიარების რაზმი სარდალ ასადის უფროსობით.

ბახტიარების ხანმა სარდალ ასადმა ევროპიდინ თან მოიტანა ჯავშნიანი სამხედრო ავტომობილი. ამას წინეთ, პირველ შეტაკების დროს, შაჰის ჯარის კაცებმა თოფი დაუშინეს ამ ავტომობილს და ძლიერ გაკვირდნენ, როდესაც დაინახეს, რომ მათმა ტყვიამ ვერეფერი ვერ დააკლო ავტომობილს.

სეპეხდრის განცხადება. სეპეხდარმა განუცხადა გაზეთების კორესპონდენტებს, რომელებიც მის სანახავად მივიდნენ: კერეჯში უცხოელთა ჯარის მოსვლა ვერ შესცვლის რევოლიუციონერების გადაწყვეტილობას. თუ რომელიმე სახელმწიფო სპარსეთის დაჭერას მოინდომებს, მაშინ რევოლიუციონერები დაიწყებენ ბრძოლას იმ სახელმწიფოს ჯარის წინაალმდეგო.

რა გუნებაზე არიან სალთან-აბადში. სპარსეთის სატახტო ქალაქი თეირანი თითქმის დაცალიერდა. ვისაც კი შეეძლო, ყველა. აიყარა და სხვაგან გადასახლდა. შაჰის კარის კაცები და მინისტრებიც ძლიერ შეშინებულნი არიან უცხოელი დიპლომატები, რომლებიც ამ დღეებში სალთან-აბადში იყვნენ, შაჰის სანახავად, ამბობენ, რომ იქ როგორც თითონ შაჰი, ისე მისი კარის კაცები და მინისტრები—ყველანი თავ-ზარ-დაცემულნი. არიან.

რუსის ჯარი თეირანში არ წავა. გაზ. „ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: აქ სარწმუნოდ გაიგეს, რომ რუსის არი თეირანში არ ჯწავა, იგი გაჩერდება კაზვინში.

//

# განცხადებანი

თეკლათის დედათა მონასტერში (ახალ-სენაკის მახლობლად) დაარსდა სახელოსნო სასწავლებელი. ღებულობენ ქალებს განურჩევლად წლოვანებისა. ასწავლიან ყოველნაირ ფეხსაცმლის—სამამო თუ საქალო წაღების კერვას; ოქრომკედით, ფერად-წამლებით ქარგვა ხატვას ბალიშებისა, მუთაქებისა და სხვათა; საბნების ქარგვა-კერვას; საერო სასულიერო და აგრეთვე საეკლესიო სამღვდლო სამოსლების ჭრა-კერვას. მასწავლებლობენ თვით მოლოზნები, რომელთაც საუცხოვოდ შესწავლილი აქვთ თავიანთი ხელობა.

ყვირილის გამგე „სორაპნის“ წიგნის მაღაზიისა ღებულობს ყოველგვარ საეკლესიო, და სალმრთო წიგნებს ასაკინძავათ. უცვლის სახარებებს ძველ ხავერდს. ფასები ხელმისაწდომია. აქვე იყიდება სკოლების ყოველგვარი სასწავლო ნივთები და სასწავლო წიგნებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის ორ-კვირეულ ჟურნალს**

**XXVI წ. „მწყემს“-ზე XXVI წ.**

**ჟურნალის ფასი:**

12 თვით 3 მან.—6 თვით 2 მან.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება **დაბა ყვირილაში**—რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. დ პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთი დაეთმობათ მთელის წლით **ორ მანეთად.**

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც მანეთნახევრად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი.

რედაქტორ-გამომცემელი **დეკანოზი დ. ღამბაშიძე.**

## იაკობ გოგებაშვილის წიგნები:

**დედა-ენა**, მეჩვიდმეტე გამოცემა, 278 ათასი. წიგნი სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან მოწონებულია და სინოდისაგან. ფასი ყდით ორი აბაზი.

**ბუნების-კარი.** მეთორმეტე გამოცემა, 62 ათასი, სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო“, და მოწონებულია სინოდისაგან. ფასი ყდით ოთხი აბზი.

**კოკორი**, მეთორმეტე გასოცემა, 60 ათასი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

**ხომლი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრებული, მეორე გამოცემა, 2,400 ცალი. მოწონებულია ორისავე უწყებისაგან. ფასი ექვსი შაური.

**კუნწულა**, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1,200 ცალი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

**იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა, ცხრა სურათით, გამოცემა მესამე, 7,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

**ხატის მიზეზი**, მოთხრობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

**თავდადებულნი ქართველნი**, მეორე სურათებიანი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპ.

**მოსავლის მტველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები სურათებიანი გამოცემა, 2,400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

**ერეკლე მეფე და ინგილო ქალი**, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სრუათით. ფასი ერთი შაური.

**სხივი წარსულისა**, ისტორიული ამბავი, 2,400 ცალი. ფასი ერთი შაური.

**საარაკო თავგადასავალი**, 1,200 ცალი. ფასი ორი შაური.

**ძირითადი უკუღმართობა**, 1,200 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

**აკიდო**, ანუ კრებული საყმაწვილო და სახალხო მთხრობათა, გამოცემა წიგნების გამომცემლის ქუთათურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური.

„დედა-ენის“, „ბუნების-კარის“, „კოკორისა“, „აკიდოსი“ და „Русское Слово“-ს გარდა ყველა სხვა აქ ჩამოთვლილი წიგნები რიცხვით თექვსმეტი ავტორს შეწირული აქვს წერა-კითხვის საზოგადოებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისყიდებიან

## დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიში, ყვირილაში—«მწყემსი»-ს რედაქციაში.

### 1, საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 25 კ. და უყდოთ . . . . 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ,
3. ცოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყდით . . . 50 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . . 5 »
6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 „

### 2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება სალმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ. პირველი ნაწილი უყდოთ 25 კ. ყდით 30 კ.
2. დაწყებითი გაკვეთილები სალმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . . 30 კ
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . . 20 კ

### 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი . . . 1 მ. უყდოთ . . . . . . 60 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . . . . 5 კ.

### 4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . . 15 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . 20 „

3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4, მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.

5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

### 5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქმნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

### 6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 3 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . , 5—

5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკა . . . . . 2—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
9. არჩილ და ლუარსაბი . . . 5—
10. წმიდა ნინო რუსულად . . . 8—

### 7. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ —ფასი . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი . . . 5—
6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი . . . . 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — შრომაზე . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . 5 »

### 8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—
5. მრავალ წამებული იობი . . 5 კ.

---

### 11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . 25 კ.
3. თამარ მეფე . . . . 25 კ.

იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

---

## ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზანს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საკიდი ხატები ფერგადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

---


ჟურნალის „მწყემსი“-ს

# სტამბა

(დ. დ. ღამბაშიძისა)

ღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ასრულებს სამუშაოს სუფთად და დროზე, ძლიერ დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ღამბაშიძის საკუთარ სახლებში,



Дозволено Цензурою 30 Іюня 1909 года г. Кутаисъ

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 ივნისი 1909 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყმსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.